საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 145 (947)

ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 1994 წელი.

ფასი 20000 კუპონი.

შეხვედრა ისრაელის დელეგაციასთან

17 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ისრაელის დელეგაცია ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს „მაშავის" დეპარტამენტის უფროსის ბინ ელიზერის ხელმძღვანელობით.

სტუმრებმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნეს საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, ისაუბრეს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებსა და ამ სფეროში მათი უშუალო მონაწილეობის შესახებ. დაისახა კონკრეტული პროექტები, კერძოდ: საქართველოში სანიმუშო ფერმის შექმნის შესახებ. დელეგაციის წევრებმა ქართველ კოლეგებთან ერთად შეარჩიეს ობიექტი, რომელსაც რეალური შესაძლებლობა აქვს, გახდეს სწორედ ასეთი ფერმა. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, ქართველ სპეციალისტებთან თანამეგობრობისათვის და აღნიშნა, რომ ამას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებისათვის. — საქართველოს სოფლის მეურნეობამ, გაიარა, როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური მეურნეობის კომპლექსების გზები, რამაც, ვიტყოდი, დიდი შედეგი ვერ გამოიღო, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა. — ასე რომ, ფერმერული მეურნეობა, რომელიც ჩვენთვის, ჯერჯერობით, ახალია, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიმაჩნია. ვიმეორებ, საქართველოს ფერმერული მეურნეობის გამოცდილება არ აქვს და ამდენად ჩვენი ქვეყნის სპეციალისტთა თანამშრომლობა დიდად წაადგება ამ საქმის სასიკეთოდ წარმართვას.

შეხვედრაში მონაწილეობდა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბარუხ ბირენბაუმი.

ბინსოცბანკი სააქციო ბანკად გადაკეთდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ბინსოცბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ვლადიმერ პატეიშვილს. საუბარი შეეხო ბანკის აქციონირების საკითხს. ბინსოცბანკი სახელმწიფო კომერციული ბანკია და მიმდინარეობს მისი სააქციო ბანკად გარდაქმნა. დღესდღეობით სააქციო ბანკად მის გარდაქმნასთან დაკავშირებით მომზადებული ყველა საბუთი წარდგენილია მინისტრთა კაბინეტში. მინისტრთა კაბინეტმა დავალება მისცა შესაბამის სამინისტროებს და უწყებებს, წარმოადგინონ დასკვნები.

სახელმწიფოს მეთაური ყურადღებით გაეცნო ბანკში შექმნილ ვითარებას და პერსპექტივებს. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მოიწონა ბანკის სააქციო ბანკად გარდაქმნის პერსპექტივა და კოლექტივს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. სახელმწიფოს მეთაურმა შესაბამის სამსახურს დაავალა, ბრძანებულების მომზადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო-საქინფორმი.

დღის წესრიგშია კურორტის პრობლემები

ბორჯომი (საქინფორმის კორესპონდენტი, რობერტ ცუცქირიძე)

ბორჯომისა და სამცხე-ჯავახეთის ზონაში სახელმწიფოს მეთაურის [illegible] და სრულუფლებიანი წარმომადგენლის — სახელმწიფო რწმუნებულის ვალერი ბაქრაძის მონაწილეობით გაიმართა საქმიანი [illegible] კურორტის წინაშე წამოჭრილი მტკივნეული პრობლემების მოსაგვარებლად.

ბორჯომის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის ჯუმბერ კურტანიძის ინფორმაციაში, სამრეწველო საწარმოთა და საკურორტო დაწესებულებების ხელმძღვანელთა გამოსვლებში, ხაზი გაესვა კრიზისულ ვითარებას, რაც გამოწვეულია ბუნებრივი გაზის შეწყვეტით, ელექტროენერგიის დეფიციტით, სურსათის მწვავე ნაკლებობით, ხე-ტყის განადგურების საშიშროებით.

აღინიშნა, რომ მინის ტარის, მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნების, ანდეზიტის საწარმოს, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის პარალიზების გამო რაიონის ბიუჯეტს ძალზედ უჭირს. ისიც ითქვა, რომ საზაფხულო სეზონმა კვლავ მოიზიდა ორგანიზებული და არაორგანიზებული დამსვენებელი და გამოყოფილი ფქვილის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია ლტოლვილთა უზრუნველყოფის საკითხიც.

— მართალია, რესპუბლიკას დღეს ძალზედ უჭირს, მაგრამ მაინც არის შესაძლებელი რეზერვების ამოქმედება და საკურორტო ზონის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა, კურორტი ათასობით ადამიანს სჭირდება, სახელმწიფოს მეთაური საკურორტო ზონის აღორძინებას დიდ ყურადღებას უთმობს. საერთო ძალისხმევით სასურველ შედეგს მივაღწევთ, — თქვა სახელმწიფოს რწმუნებულმა ვალერი ბაქრაძემ.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

მანქანები გაზით იმუშავებენ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა განკარგულება ავტომანქანებზე გაზის აპარატურის დამონტაჟების, გამართვისა და უსაფრთხო ექსპლოატაციის შემდგომი მოწესრიგებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს (შ. კვირაია) დაევალა, არ დაუშვას გაზის საწვავით მომუშავე იმ ავტომანქანების ექსპლოატაცია, რომელთა გაზის ბალონების პერიოდული გადამოწმების ვადა არ არის დაცული, აგრეთვე, რომელთა მძღოლებსაც არ გააჩნიათ საქართველოს რესპუბლიკის ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებში რეგისტრირებული გაზის აპარატურის დამმონტაჟებელი და სასწავლო ორგანიზაციების მიერ გაცემული სათანადო პასპორტი გაზის აპარატურის მონტაჟზე და სწავლების სპეციალური კურსების გავლის მოწმობა, რომლებიც ასევე რეგისტრირებული უნდა იყოს ზემოხსენებულ ინსპექციაში; სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს გაზით ავტოგასამართი საკომპრესორო სადგურების სადღეღამისო დაცვა ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტს (მ. გოგიჩაიშვილი) დაევალა უზრუნველყოს გაზით მომუშავე სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული ავტომანქანების გაზის აპარატურის პერიოდული გადამოწმება ექსპლოატაციის წესების თანახმად.

განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები არ დაუშვებენ მოძრავი ავტოგაზგასამართი სადგურებისათვის ადგილების გამოყოფას საქართველოს რესპუბლიკის ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებთან შეუთანხმებლად.

დეპარტამენტი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (შ. კვირაია) და ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციასთან (ა. ლოლობერიძე) ერთად განახორციელებს ღონისძიებებს, ავტომანქანების ბუნებრივი გაზით გასამართი კუსტარული დანადგარების გამოსავლენად და ასაკვეთად კერძო სტრუქტურებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებში. კატეგორიულად იკრძალება დეპარტამენტ „საქგაზის" დაქვემდებარებაში არსებულ ავტოგასამართ სადგურებში იმ ავტომანქანების გამართვა, რომელთა მძღოლებს არ გააჩნიათ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის ორგანოებში რეგისტრირებული პასპორტი გაზის აპარატურის მონტაჟზე და სწავლების სპეციალური კურსების გავლის მოწმობა.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

რ. ჯაფარიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისა და ქართულ მწერლობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მწერალი რევაზ ჯაფარიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სამძიმარი

საქართველოს საინფორმაციო სააგენტომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკაში სომხეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ლევონ ხაჩატრიანის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: დიდად დაგვამწუხრა 13 აგვისტოს, გაჩიანის სადგურთან მომხდარმა ტრაგედიამ, რომლის შედეგად არის მსხვერპლი. სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და საქართველოს რესპუბლიკაში სომხეთის საელჩოს სახელით გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

ედუარდ შევარდნაძე:

ჩვენ აფხაზებთან უნდა ვიყოთ როგორც ძმები, როგორც ერთი ქვეყნის თანამოქალაქენი და ასე უნდა ვიცხოვროთ. ახლაც ეს აზრი არის გაბატონებული. როგორც ვიცი, საღად მოაზროვნე აფხაზებიც ამავე აზრის არიან. მე მხედველობაში არ მაქვს გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც ქართველებშიც და აფხაზებშიც შეურიგებლობისა და სიძულვილის გრძნობები ამოძრავებთ.

15 აგვისტოს რადიოინტერვიუდან

„ჩატეხილი ხიდების" აღსადგენად

კაცი, რომელიც მივლინებით იყო ენგურჰესზე

ეს კაცი „საქენერგოს" დეპარტამენტის ხელმძღვანელი იური ჭედიაა. გასულ შაბათს იგი ენგურჰესიდან დაბრუნდა, სადაც სამსახურებრივი მივლინებით ჩავიდა.

მის ნაამბობს გთავაზობთ დღეს.

— ენგურჰესში შესვლის შესაძლებლობა მას შემდეგ დავკარგეთ, რაც გალი დავტოვეთ, სამწუხაროდ, — თქვა ბატონმა იურიმ, — 450 კაციდან, ვინც დიდ, სათავე სადგურში, საბერიოში მუშაობდა, მხოლოდ 14 დარჩა ადგილზე. მუშათა დასახლება მთლიანად დაიცალა. ეს თოთხმეტი, დარგის, პროფესიის და სამშობლოს პატრიოტი მალულად ემსახურებოდა ელექტროსადგურს. მეთაურობდა ამ ჯგუფს ბატონი გიორგი მიქავა, ენგურჰესის დირექტორი, სამოცს გადაცილებული ჭარმაგი, ენერგიით სავსე კაცი, დიდი პროფესიონალი, რომელიც საქართველოს ყველა წამყვან ენერგეტიკულ ობიექტზე მუშაობდა და უნიკალური გამოცდილება დააგროვა. თოთხმეტი პროფესიონალი თავდადებით და თავგანწირვით ამუშავებდა ენგურჰესს.

— გქონდათ რაიმე კავშირი მათთან შარშანდელი სექტემბრის მერე?

— მხოლოდ ტელეფონით. ოპერატიული პერსონალი, ენერგოსისტემის დისპეტჩერი, მეც როგორც ხელმძღვანელი, ვმართავდით და ვმართავთ ენგურჰესს.

სამშვიდობო ძალების შემოსვლამდე ცოტა ხნით ადრე გალის რაიონში შევხვდი აფხაზებს — ენერგეტიკოსებს და იქაური ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ე. წ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და შევთანხმდით, რომ ენგურჰესის დევნილ პერსონალს მისცემდნენ საშუალებას დაბრუნებულიყო და ემართა სადგური. მოგეხსენებათ, ამ ურთულესი და უნიკალური ობიექტის მომსახურება მხოლოდ აქ პრაქტიკაგავლილ ენერგეტიკოსებს შეუძლიათ. დაბრუნდა 70 კაცამდე. იმ არეულობასა და ყაჩაღობაში ოჯახებით ვერ დაბრუნდნენ, ცხადია.

ყოველნაირად შევეცადეთ მათთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, გავუგზავნეთ კვების პროდუქტები, სასუქიც კი საკარმიდამო ნაკვეთებში რომ გამოეყენებინათ.

ეს ყველაფერი მარტო მატერიალური კი არა, უფრო მორალური მხარდაჭერა იყო...

თითქოს საქმე აეწყო, მაგრამ ბოლო თვენახევრის მანძილზე მდგომარეობა გაუარესდა: აფხაზეთის მხარემ რატომღაც გადაწყვიტა შეეზღუდა ელექტროსადგურის გამომუშავების სიმძლავრე, უფრო ზუსტად, მისი მუშაობის რეჟიმში ჩარევა გადაწყვიტა.

ელექტროსადგური, რომელიც თავისი სიმძლავრით ქმნის ენერგოსისტემის სტრუქტურას, არ შეიძლება ორი ცენტრიდან იმართებოდეს. მხოლოდ მკაცრი ცენტრალიზება (მხოლოდ ერთი დისპეტჩერი) განაპირობებს ელექტროსადგურის ნორმალურ ფუნქციონირებას, ნებისმიერი ავარიის დროულად ლიკვიდაციას. ეს მსოფლიო პრაქტიკის აქსიომაა.

სად და ვის წინაშე არ დავსვით საკითხი. ვიყავი პასტუხოვთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ენერგეტიკოსებთან მოსკოვში, ვუხსნიდი: თქვენ (რუსეთის ფედერაცია) ელექტროენერგიას სოჭიდან აწვდით აფხაზეთს, ღირებულებას ჩვენ გვახდევინებთ, — „საქენერგოს". საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთი ცნობს და, ბუნებრივია, რომ ჩვენ გვახდევინებთ მისი ერთი ნაწილისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს. ტერიტორია თუ ჩვენია, ვალიც ჩვენია. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ელექტროენერგიას იღებს ხალხი და არა რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფება. თუ ვალს ვიხდით ჩვენ, ჩვენვე უნდა ვმართოთ.

ასეა თუ ისე, დღეს 7 მილიარდი რუბლი გვმართებს რუსეთის ენერგეტიკოსებისა. იმ ენერგიის საფასური, რომელიც აფხაზეთს მოხმარდა.

აფხაზეთის მხარეს ამ საკითხებზე სოჭში ველაპარაკეთ, მაგრამ — უშედეგოდ.

ენგურჰესზე ზაფხულის პერიოდში ელექტროენერგიის გამომუშავება იმდენად ჭარბია, რომ შეგვიძლია მთლიანად უზრუნველვყოთ აფხაზეთი. რა აზრი აქვს რუსეთიდან მოწოდებას? ჩვენ აქ წყალს უქმად ვღვრით, რუსეთის ენერგეტიკოსები კი ძვირადღირებულ სათბობს წვავენ სტავროპოლის თბოელექტროსადგურში და ასევე ძვირადღირებულ ელექტროენერგიას აწვდიან აფხაზეთს, რომლის ღირებულებასაც ჩვენ ვიხდით.

არის ამაში სალი აზრი?

თბილისის თბოელექტროსადგურის მაგალითიც ბევრის მეტყველია. ჩვენ თურქმენეთისთვის ბუნებრივი აირის ვალი ვერ გადაგვიხდია და ენგურჰესს კი მთელი სიმძლავრით ვერ ვამუშავებთ, 600 მეგავატის ეკვივალენტურ წყალს უქმად ვღვრით. ეს დღე-ღამეში 12 მილიონი კილოვატსაათია, მაშინ, როდესაც მთლიანად საქართველოში 20 მილიონ კილოვატსაათს გამოვიმუშავებთ.

კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი თან სდევს ამ სიტუაციას— კაშხლიდან დიდი რაოდენობით წყლის ვარდნა უარყოფითად მოქმედებს რეგიონის კომუნიკალურ კავშირებზე, ბევრი სოფელი მოწყვეტილია.

ამასთან, ჩვენ შევწყვიტეთ ვალის დაბრუნება თურქეთისათვის, რომელიც 5 წლის მანძილზე დაგროვდა. ამ ქვეყნიდან მიღებულ ელექტროენერგიას აფხაზეთსაც ვაძლევდით, რასაკვირველია. ამას ივიწყებენ გუდაუთაში და ჰგონიათ, რომ საზღვარგარეთ ვყიდით ელექტროენერგიას. კი არ ვყიდით, ვალს ვუბრუნებთ.

— თუ შეიძლება, გაგვიშიფრეთ ეს მომენტი.

— კი, ბატონო. თურქეთთან დადებული ხელშეკრულებით ზამთარში მათგან მიღებული ელექტროენერგია ზაფხულში ორმაგად უნდა დავუბრუნოთ. ჩვენი პირის გატეხვით მათაც აერიათ ენერგოუზრუნველყოფა, რადგან ჩვენგან დაბრუნებული ვალით ვარაუდობდნენ სამსუნამდე ტერიტორიის უზრუნველყოფას 1 სექტემბრამდე.

შექმნილი მდგომარეობა ხელს არ აძლევს არც საქართველოს, არც რუსეთს, არც აფხაზეთს. ამიტომ ეს პრობლემა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის მთავრობის წინაშე დააყენა ჩვენთან ერთად განსახილველად. კვირას მივემგზავრები მოსკოვს და მონაწილეობას მივიღებ განხილვაში.

ენერგეტიკის თვალსაზრისით პრობლემა რთული არ არის. მაგრამ როდესაც პოლიტიკური პოზიციებიდან იწყებენ დარგის პრობლემების მართვას, ეს, როგორც წესი, კრახია.

აი, ყველა ამ საკითხიდან გამომდინარე გადავწყვიტე ენგურჰესზე ჩასვლა.

აფხაზეთის მხარის გადაწყვეტილებაზე ელექტროენერგიის შეზღუდვით გამომუშავების შესახებ უკვე გითხარით. ვთქვათ, მივაღწიეთ შეზღუდვის მოხსნას, მაგრამ ამას შედეგი შეიძლება არ მოჰყვეს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ აგრეგატები მწყობრიდან იყოს გამოსული. 5-დან დღეს ერთი შედარებით ტექნიკურად გამართულია, მეორე მხოლოდ 30 პროცენტის სიმძლავრეს ანვითარებს. დანარჩენი სამი დგას. არის სხვა მრავალი ტექნიკური საკითხი, რომლებშიც გარკვევა მხოლოდ ადგილზე შეიძლება...

და, აი, ენგურის ხიდზე ვართ. აფხაზეთის უშიშროების სამსახურის, სამშვიდობო ძალების შტაბის წარმომადგენლებთან ერთად მე და ჩემი მოადგილე იური გოგუჩია გადავედით მეორე ნაპირზე... ის, რაც აქ ვნახე და ვიგრძენი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ განმიცდია: მავთულხლართები, გუშაგები, საფარები... ფრონტის ხაზს გადიხარ თითქოს. აქ ცოტა ხნის წინათ ჩვეულებრივ მიმოდიოდი. საშინელებაა. ამის აღწერა შეუძლებელია...

შემოწმების პროცედურა: ვისთან მიდიხარ, სად, რატომ? და ასე შემდეგ. ობიექტური რომ ვიყო, ვიტყვი, ეს მძიმე პროცედურა ფრიად მორიდებულად ჩაატარეს. მეტიც, როდესაც გაიგეს, სად და რისთვის მივდიოდი, პატივისცემითაც მომექცნენ და მითანაგრძნეს კიდეც. ამისათვის მათი მადლობელი ვარ.

წავედით ენგურჰესისაკენ.

ერისწყლის არხთან — ისევ საგუშაგო და იგივე პროცედურა და სწორედ აქ შემხვდა ენგურჰესის დირექტორი გიორგი მიქავა, ვერ წარმოიდგენთ, რა სახე ჰქონდა, როდესაც დამინახა და დაიჯერა, რომ მართლა მე ვიყავი. წინასწარ კი დავურეკე და ვაცნობე, რომ ჩავდიოდი, მაგრამ ეტყობა, არ სჯეროდა.

როგორც გადამრჩენელს და პატრონს, ისე შემომეგება და გადამეხვია. სიხარულის ცრემლები, სიცილი, ტირილი, ერთმანეთის მოკითხვა... ამის მოყოლა შეუძლებელია...

იმ დღეს იმ კუთხეში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა: ბანდიტებმა ოთხი აფხაზი მოკლეს. ბანდიტები დაძრწიან იქ, როგორც მშიერი მგლების ხროვა და არავინ იცის, თუ სად, რა უბედურებას დაატრიალებენ. ამიტომ პროვოკაციული მოქმედება არასოდეს არ არის გამორიცხული. გაგვაფრთხილეს ჩვენც. მაგრამ ამის გამო უკან დავიხევდით?

ჩავედით საბერიოში. მკვდარი დასახლება. ორიოდ კაცი თუ გაივლის. — აქაურობა სამარეს მაშინ გავდა, — მეუბნება ბატონი გიორგი მიქავა, — 14 კაცი რომ ვიყავით დარჩენილი მხოლოდ. ახლა იმასთან შედარებით სიცოცხლე ჩქეფს.

ენგურჰესის შესასვლელთან — აფხაზი პოლიციელი ავტომატით. მანაც თავიდან ბოლომდე შეასრულა ოფიციალური პროცედურა და ამ საქმეს რომ მორჩა, მერეც არ მომცილებია, არც ის, არც აფხაზეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი. მაგრამ მე გარდა პროფესიული და ადამიანური საკითხებისა, ენგურჰესის მცირე კოლექტივთან სხვა არაფერი მქონდა სალაპარაკო.

სამანქანო დარბაზში ვართ. თითქოს წელში გაიმართნენ და გაუნათდათ სახეები სპეციალისტებს, ვინც იქ დაგვხვდა. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ვისაუბრეთ.

ერთმა მემანქანემ, ასაკოვანმა კაცმა თქვა, — ახლა კი დავრწმუნდი, რომ ჩვენ სიკვდილი არ გვიწერიაო. მართლაც მძიმე და სახიფათო სიტუაციაში მუშაობენ ენგურჰესზე და ამიტომ ყოველმხრივ დასაფასებლები არიან.

გიორგი მიქავასთან ერთად იქვე გადავწყვიტეთ ელექტროსადგურის ამუშავების ყველა ურთულესი ტექნიკური საკითხი. მათ დირექტორი, რა თქმა უნდა. თვითონაც გაართმევდა თავს, მაგრამ ორი, ინსტიტუტელი მეგობარი, კოლეგა რომ შევთანხმდით, დამერწმუნეთ, ამას სხვა ფასი ჰქონდა იქ.

პარასკევს მესამე აგრეგატი ტექნიკურ გამოცდაზე დავაყენეთ. ეს აუცილებელი პროცედურაა შეკეთების შემდგომი პერიოდისა.

— ვთქვათ, მოიხსნა შეზღუდვა, რომელზეც ილაპარაკეთ და ეს მესამე აგრეგატიც ჩადგა მწყობრში...

— მაშინ საშუალება გვექნება 240-დან 600 მეგავატამდე გავზარდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება. ამით ის ენერგეტიკული კრიზისი, რომლითაც ასე ვაწვალებთ, ვაწამებთ ხალხს და ქვეყანას, საგრძნობლად შემცირდება.

რომც არ მოიხსნას შეზღუდვა, შევძლებთ ჩანაცვლებით ვამუშაოთ აგრეგატები.

ვისაუბრეთ საყოფაცხოვრებო, უსაფრთხოების საკითხებზე, მთელ კოლექტივს გადავეცი ბატონ ედუარდ შევარდნაძის გულთბილი მოკითხვა და მათი მუშაობის მაღალი შეფასება, ბატონ ოთარ ფაცაციას კეთილი სურვილები. ახლაც ჟრუანტელი მივლის იმ რეაქციაზე, რომელიც მათ ამის გამო ჰქონდათ.

ამით დამთავრდა ჩემი მივლინება ენგურჰესზე.

* * *

კვირას ბატონი იური ჭედია მოსკოვს გაემგზავრა. დაგვპირდა, რომ ჩამოსვლისთანავე ჩვენს მკითხველებს მოუყვება მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

არმაზ სანებლიძე.

P.S. ნომერი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ აფხაზი ენერგეტიკოსები მოსკოვში მოსალაპარაკებლად არ გამოცხადდნენ.

ა. ხ.

ჭირნახული — 94

ჰექტარზე— 63,2 ცენტნერი!

გორის რაიონის აგროფირმა „ხელთუბნის" „გორაკის მიწების" კალოზე ავტომანქანები მთელი დღე ეზიდებოდნენ მარცვალს, საღამოს კი, როცა ხორბლით დატვირთული ბოლო ავტომანქანა მოვიდა, დაითვალეს და 10 ჰექტარზე გალეწილმა ხორბალმა 63 ტონა და 200 კილოგრამი შეადგინა, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 63,2 ცენტნერი!

— ასეთი მოსავალი ჩვენს რაიონში ჯერ არავის მოუწევია, — თქვა აგროფირმის თავმჯდომარემ ვალერი ტერმელაშვილმა.

დღეისათვის უკვე 90 ჰექტარი მომკეს და გალეწეს ხელთუბნელებმა.

საშუალოდ, ჰექტარზე მიღებულია 47 ცენტნერი მარცვალი.

გურამ ვაშაკიძე,
„ხრ." საკ. კორ.

სურათზე: ალოობა ხელთუბანში.

ნიკო კალანდაძის ფოტო.

მერვე სვეტი

თესლი საშემოდგომო თესვისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში დაიწყო მზადება უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის — საშემოდგომო თესვისათვის. საზოგადოებრივ მეურნეობებში გაიგზავნენ სპეციალისტები, რათა დახმარება გაუწიონ მეურნეობებს საკუთარი წარმოების თესლით უზრუნველყოფაში. ამას გარდა, ეძებენ გარედან სათესი მასალის შემოტანის შესაძლებლობებს. კერძოდ, სტავროპოლის მხარიდან დაბრუნებულმა სამინისტროს მუშაკებმა, სადაც საკმაო რაოდენობით არის მარცვლეული თავთავიანი კულტურების თესლი, შეიპირეს იქაური ხელმძღვანელობა, რომ საქართველოს გამოუყონ ხორბლისა და ქერის თესლი აზოტიანი სასუქების სანაცვლოდ. ახლა ხორციელდება ღონისძიებანი, რათა ბარტერული გაცვლისათვის გამოიყოს სასუქები 1500-2000 ტონის ოდენობით.

ვარძია სიმდიდრის წყაროა...

...განაცხადეს ედუარდ შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების" მხარდამჭერმა ამერიკელმა სტუმრებმა, უნიკალური ისტორიული ძეგლის, კლდეში ნაკვეთი ქალაქის დათვალიერების შემდეგ.

— ამერიკელებმა საქმიანი, ურთიერთხელსაყრელი წინადადებები შემოგვთავაზეს ვარძიის არქიტექტურული ანსამბლის საერთაშორისო ტურიზმის ობიექტად გადაქცევისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ასპინძის რაიონის ახლად დანიშნულმა გამგებელმა, რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა გიორგი წითლანაძემ. — პროგრამა შესწავლისა და გაანალიზების სტადიაშია. წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ვარძია ნამდვილად გახდება ვალუტის მოზიდვის წყარო არა მხოლოდ ასპინძის რაიონისათვის, არამედ საქართველოს ბიუჯეტისთვისაც. დღეს ასპინძის რაიონში ყველაფერი გაპარტახებულია, სამი წლის მანძილზე არ მოხნულა და არ დათესილა 8500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, განადგურებულია მეცხოველეობის დარგი, პარალიზებულია სამრეწველო საწარმოები, აღარ გამოდის რაიონული გაზეთი, ელექტროენერგიის კრიზისის გამო, მოსახლეობა მოკლებულია სატელევიზიო გადაცემებს, დავიწყებას მიეცა ტურიზმიც, სატელეფონო კავშირი მხოლოდ შუა ღამის საათებში მოქმედებს.

ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, სექტემბრის ბოლო რიცხვებში პოეზიის დღეების გამართვას ვითვალისწინებთ, რაც წინათ ტრადიციული იყო მესხეთში.

რეზო კლდიაშვილი.

ექნებათ თუ არა პროდუქცია ღვინის ქარხნებს?

გურჯაანის რაიონის ყოფილი სახელმწიფო ღვინის ქარხნების უმრავლესობა გადაკეთებულია ღია სააქციო ტიპის საწარმოებად. დღემდე გადაჭრილი არ არის ყურძნით მათი უზრუნველყოფის პრობლემა, რომელიც, ძირითადად, მათ შეუძლიათ ჩააბარონ მხოლოდ კერძო მიწის ნაკვეთების მფლობელებმა. საქმე ის არის, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რაიონის გამგებლის მოადგილემ ალექსანდრე ხირბილაშვილმა, რომ ღვინის ქარხნებს ჯერაც არ გადაუხდიათ გლეხებისათვის შარშანდელი ფული. გარდა ამისა, კერძოები არ არიან თანახმა, ჩაბარებული ერთი ტონა ყურძნის სანაცვლოდ, საწარმოებისაგან მიიღონ 450 ლიტრი ღვინო, რადგან ეს მათ ხელს არ აძლევთ. ასეთი სიტუაცია ალბათ, მნიშვნელოვნად შეამცირებს პროდუქციის მოცულობას, ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის ღვინის ფასს. მან შემდეგ თქვა, რომ ანალოგიური ვითარებაა კახეთის ყველა დანარჩენ რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-ისრაელი:

ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივა

როგორც ცნობილია, ისრაელში გაიხსნა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბარუხ ბირენბაუმს სთხოვა გაეცნო საქართველოსა და ისრაელის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება.

— ისრაელში საქართველოს წარმომადგენლობის გახსნა მნიშვნელოვანი ეტაპია მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან თქვენი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობისათვის, — თქვა ბატონმა ბირენბაუმმა. — საქართველო-ისრაელის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საქმეში უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები: საქართველოს წარმომადგენლობამ ისრაელ მეწარმეებთან ერთად შექმნა ერთობლივი საწარმო, რომელიც საბავშვო ტანსაცმელსა და საკვებს აწარმოებს. მან დიდი როლი უნდა შეასრულოს ორი ქვეყნის ეკონომიკური კონტაქტების განვითარებაში. ვცდილობთ გავაფართოოთ ეკონომიკური კავშირურთიერთობანი საქართველოსთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფრიად რთული პროცესია, რადგან არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკა მოიცვა ღრმა კრიზისმა. რესპუბლიკაში ჯერ არ დამდგარა ვითარების სრული სტაბილიზაცია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტს დღემდე არ განუხილავს კანონი უცხოურ ინვესტიციათა დაცვის გარანტიების შესახებ. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის უზრუნველყოფის სავალდებულო პირობაა საკანონმდებლო ბაზისა და ასეთი კონტაქტების მხარდამჭერი ატმოსფეროს შექმნა.

ჩემი კოლეგებისაგან ვიცი, რომ საქართველოსთან თანამშრომლობით მრავალი ქვეყანაა დაინტერესებული, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო საქმიანი ადამიანები ჯერჯერობით თავს იკავებენ ამისაგან. ეკონომიკისა და მრეწველობის ასამოქმედებლად საჭიროა მნიშვნელოვანი სახსრები, ჩემი აზრით, ამგვარ წარმომადგენლობათა შექმნა გარკვეულწილად გადაწყვეტს ამ პრობლემებს. სამწუხაროდ, ჩვენი საელჩო არ იყო ინფორმირებული ისრაელში წარმომადგენლობის გახსნის შესახებ: ჩვენ ეს ქართული გაზეთებიდან შევიტყვეთ, საერთოდ კი, საელჩოსათვის ამგვარი ამბების ცოდნა არათუ სასურველია, არამედ სავალდებულოც არის. უფრო მეტიც: ცნობილია ისრაელის ფირმებთან ქართული ფირმების კონტაქტების უამრავი ფაქტი, მაგრამ ესეც პირადი ინიციატივის საფუძველზე ხდება და არა სახელმწიფოებრივ დონეზე.

საქართველოს ისრაელიდან შემოაქვს მასობრივი მოხმარების საქონელი — პროდუქტები, ტანსაცმელი, ისრაელი კი ჯერჯერობით მხოლოდ მინერალურ წყალს „ბორჯომს“ იღებს. ეს მხოლოდ ურთიერთობის დასაწყისია. მინდა ყურადღება იმ გარემოებასაც მივაპყრო, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სახელმწიფო დონეზე არ გამართულა არავითარი ეკონომიკური მოლაპარაკება. ვფიქრობ, რომ ისრაელში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის დროს დაიდება ხელშეკრულებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობის ჯეროვან დონეზე განვითარებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხელშეკრულებათა მარტოოდენ გაფორმება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, თუ არ შეიქმნა შესაბამისი ბაზა, ატმოსფერო.

იყო ლაპარაკი საქართველოში ისრაელის კულტურის ცენტრის შექმნის თაობაზეც, მაგრამ ჯერჯერობით იგი მხოლოდ ლაპარაკად დარჩა. საქართველოს მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ ხელი შეუშალა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. ასეთი ცენტრის გახსნა კი მრავალი კეთილი საქმის წყარო გახდებოდა და ხელს შეუწყობდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა, მათი კულტურებისა და ტრადიციების შემდგომ დაახლოებას. ჩვენი საელჩო მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს თბილისში ამ ცენტრის დაფუძნებასა და მუშაობაში, იმის მიუხედავად, რომ თავად ჩვენც არა გვაქვს საკუთარი შენობა.

მინდა დავძინო, რომ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საელჩოს თანამშრომლებმა შეიმუშავეს საინტერესო პროგრამა, კერძოდ, ჩვენი ინიციატივით ისრაელში სტაჟირებისათვის უკვე გაიგზავნა 50 კაცი, და ეს პროგრამა გრძელდება. წლინახევრის განმავლობაში სტაჟირებას გაივლის საკმაოდ ბევრი სპეციალისტი, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი ისინი შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას შესაბამის სფეროებში გამოიყენებენ.

უახლოეს ხანში ვაპირებთ ავაშენოთ სანიმუშო ფერმა, სადაც დამუშავდება თქვენი სოფლის მეურნეობის განვითარების მეთოდები, პრივატიზაციის განხორციელების გზები, მეცხოველეობის, მებოსტნეობის პროექტები. გაიხსნება ქართველ ფერმერთა მოსამზადებელი სპეციალური კურსები. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად თბილისში შევარჩიეთ ობიექტი, რომელსაც აქვს პოტენციური შესაძლებლობა გახდეს ერთ-ერთი ასეთი ფერმა. ამ დღეებში საქართველოს ეწვევა ისრაელის დელეგაცია, რომელიც გადაწყვეტს ფერმის გახსნის საკითხს. ვფიქრობ, ამგვარი თანამშრომლობა დიდ დახმარებას გაუწევს თქვენს რესპუბლიკას.

მყარდება კონტაქტები ორი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროებსა და აგრარულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის, იგეგმება თანამშრომლობა მეღვინეობაში, მეფუტკრეობაში, მეცხოველეობაში, სხვა დარგებში. ისრაელს შეუძლია საქართველოს შესთავაზოს ტექნიკური დახმარება, ჩვენი საქმიანი ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები ახალ ასპექტებს იძენს და დარწმუნებული ვართ, სარგებლობას მოუტანს საქართველოსა და ისრაელის ხალხებს.

ნანა გელაშვილი.

საქართველო-რუსეთი:

1. კავშირების აღდგენის პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ ინტერვიუ ჩამოართვა რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პირველი კონფერენციის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს: საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვლადიმერ ზემსკის და „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ გენერალურ მდივანს ზურაბ ჟვანიას იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ ისინი ამ კონფერენციის ძირითად შედეგებს და როგორ უყურებენ ორი სუვერენული სახელმწიფოს თანამშრომლობის პერსპექტივებს.

ვლადიმერ ზემსკი:

კონფერენციისადმი საგანგებო ყურადღება გამოიჩინეს საქართველოს პირველმა პირებმა, კერძოდ, მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, მინისტრები, მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, ბიზნესმენები, ბანკირები.

ამასთან, მსურს აღვნიშნო რუსეთის საქმიანი წრეების გაზრდილი ინტერესი საქართველოსთან თანამშრომლობისადმი. რუსეთის მხარის წარმომადგენლობის დონეზე ხაზგასმით მეტყველებს კონფერენციაში ისეთი ცნობილი პიროვნებების მონაწილეობა, როგორიც არის რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტი არკადი ვოლსკი, „როსკომმატის“ თავმჯდომარის მოადგილე ა. სოჩილინი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რუსეთის მსხვილი სააქციო საზოგადოებების „რაო-ეეს“, „ავიაპრომის“, „სოიუზკონსერვმოლოკოს“, „მოტოველოს“ და სხვათა დირექტორები; „მინსოტრუდნიჩესტვოს“, „მინეკონომიკის“, „როსკომობორონპრომის“, „გოსკომიმუშჩესტვოს“, რუსული ბანკების წარმომადგენლები.

ხაზგასმით მსურს აღვნიშნო, რომ კონფერენციის მონაწილეები უაღრესად პრაქტიკულად, საქმიანად მიუდგნენ თანამშრომლობის ყველაზე ოპტიმალური გზების ძიებას: უშუალო (პირდაპირი) ორმხრივი კავშირების დამყარებას, ტრადიციული სამეურნეო კოოპერაციის აღდგენას, ერთობლივი საწარმოების, სამრეწველო-ფინანსური ჯგუფების, ტრანსეროვნული კორპორაციების შექმნას.

მიმაჩნია, რომ კონფერენციის შედეგები ძალზე დადებითად უნდა შეფასდეს, თუნდაც იმის გამო, რომ ხელმოწერილია დაახლოებით ორმოცამდე ხელშეკრულება და ოქმი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ერთობლივი ინვესტიციური საქმიანობის განზრახულობათა შესახებ. გვსურს, რომ ყოველივე ეს ქაღალდზე არ დარჩეს.

მისასალმებელია, რომ თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი მომავალში ამგვარი ორმხრივი ფორუმები კვლავაც მოაწყონ, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი ეკონომიკური კავშირების შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს, საფუძველს ჩაუყრის ინტეგრაციულ მექანიზმს, რომელიც გადაჯაჭვავს ყველაზე მსხვილ და პერსპექტიულ ეკონომიკურ სტრუქტურებს, მათი გაერთიანებით ტრანსეროვნულ კორპორაციებად და სამრეწველო ფინანსურ კომპანიებად გადააქცევს.

უეჭველია, რომ კონფერენციას არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩვენი ხალხების ტრადიციულ სიახლოვეს. მე ძალზე მოხარული ვარ, რომ სწორედ საქართველო, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ჩანს, ყველაზე რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში იმყოფება, პირველმა იკისრა ესოდენ მნიშვნელოვანი ფორუმის მოწყობა, ამით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს უჩვენა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის მოწყობის მაგალითი.

ზურაბ ჟვანია:

უკვე ბევრი რამ დაიწერა და ითქვა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე რუსეთ-საქართველოს კონფერენციის შესახებ. **ორი სიტყვით რომ შევაფასო მისი შედეგები, ვიტყოდი, რომ ეს იყო პირველი გარღვევა ბოლო წლების სტაგნაციის ფონზე საქართველოში ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლების მიმართულებით.**

თვენახევრის წინათ, როცა კონფერენციის გამართვის იდეა გაჩნდა, ამ წამოწყებას მრავალი საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდა — არ სჯეროდათ, რომ რუსეთის მხრიდან მოიძებნებოდა საკმაო რაოდენობის ბიზნესმენი, რომლებიც დაინტერესდებოდნენ საქართველოსთან სერიოზული ურთიერთობის დამყარებით. მართალი რომ ვთქვათ, ასეთი ეჭვი არცთუ უსაფუძვლო ყოფილა, ვინაიდან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს რუსეთში უფრო მეტი ინტერესი გააჩნდა, ვიდრე — პირიქით.

კონფერენციამ საბედნიეროდ სკეპტიკოსთა ვარაუდი არ გაამართლა; ძალზე შეზღუდული დროის მიუხედავად, რუსეთის მხრიდან კერძო და სახელმწიფო სამეწარმეო სტრუქტურების ძალიან სერიოზული ინტერესი გამოიკვეთა.

საზოგადოებრიობამ უკვე იცის კონფერენციაში ისეთი ფართოდ ცნობილი პიროვნებების მონაწილეობის შესახებ, როგორიც არკადი ვოლსკია. მაგრამ მე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია რუსეთის დელეგაციის ყველა დანარჩენი წევრის ჩამოსვლა, რომლებიც მეწარმეობის პრაქტიკულად ყველა სფეროს წარმოადგენდნენ. ძირითადად ეს იყვნენ პროფესიონალები, რომლებიც თბილისში სავსებით კონკრეტული მიზნით — ორმხრივი ურთიერთობების დასამყარებლად მოდიოდნენ.

რაც შეეხება კონკრეტულ შედეგებს, ხელმოწერილია 40-ზე მეტი ხელშეკრულება და განზრახულობათა ოქმი, დაწყებულია მოლაპარაკება ათობით ფართომასშტაბიანი და მნიშვნელოვანი პროექტის რეალიზაციაზე. უნდა ითქვას, რომ ნაყოფიერი იყო იმ სექციების მუშაობა, სადაც ქართველი მეწარმეები წინასწარ მომზადებულები მოვიდნენ. ამ მხრივ ნამდვილად გამოყოფის ღირსია მსუბუქი მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის სექციები. ორდღიანი მუშაობის შედეგად პირველში მოხერხდა შეთანხმება არა მხოლოდ ნედლეულის ურთიერთმიწოდების, საბანკო ურთიერთობათა მოგვარების, გასაღების ხელშეწყობის საკითხებში, არამედ გადაწყდა ისეთი კონკრეტული საკითხებიც, როგორიც არის ქუთაისსა და შულავერში მსუბუქი მრეწველობის ობიექტების მშენებლობის დასრულება და გაშვება. განსაკუთრებული წარმატებით ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა იმუშავეს. შეთანხმდნენ ქუთაისის ავტოქარხნის ბაზაზე ველოსიპედებისა და ორტონიანი სატვირთო მანქანების გამოშვების მოგვარებაზე.

ძალიან სასიხარულოა, რომ სერიოზულ დახმარებას იღებს სოხუმიდან ევაკუირებული ქარხანა „ორგტექნიკა“, რომელიც რუს პარტნიორებთან ერთად საწერ საშუალებათა ფართომასშტაბიან წარმოებას აწყობს.

საინტერესო პროექტები დაისახა სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებითაც, რომლებიც შეეხო არა მხოლოდ ისეთ გიგანტს, როგორიც არის თბილისის საავიაციო ქარხანა, არამედ საქართველოში განლაგებულ ამ დარგის საწარმოებსაც, რომელთა უნიკალური პოტენციალი პრაქტიკულად გამოუყენებელია.

პირადად მე, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებ იმ ენთუზიაზმს, რომელიც რუსმა და ქართველმა ენერგეტიკოსებმა „ხუდონჰესის“ მშენებლობის აღდგენის მიმართ გამოხატეს, მაგრამ საზოგადოდ ენერგეტიკოსთა თანამშრომლობა მეტად დამაიმედებელ კონტურებს იძენს. ლაპარაკია, კავკასიონის გადამცემი ხაზის აღდგენაზე და გარდაბნის სრესის სარემონტო სამუშაოებში რუსი სპეციალისტების აქტიურ მონაწილეობაზე, სხვა ენერგოობიექტების აღდგენა-ამუშავებაზე.

კონტრასტულად გამოიყურებოდა აგრარული სექციის მუშაობა, სადაც პრაქტიკულად მხოლოდ გაერთიანება „ამალთეამ“ „ივაქკაცა“. მან მოახერხა ორი მეტად მნიშვნელოვანი შეთანხმების გაფორმება, განსხვავებით ამ დარგის დანარჩენი წარმომადგენლებისაგან, რომლებიც სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ რუსი პარტნიორების ჩამოსვლას.

მიღწეული შეთანხმებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ვფიქრობ, უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება ჩვენს პრესაში, ამდენად შევჩერდები იმ გარემოებაზე, რომელიც, ჩემი აზრით, კონკრეტული ციფრების მიღმა დგას. **იმ დროის განმავლობაში, რაც ჩვენ კონფერენციისათვის ვემზადებოდით, ჩემი კოლეგებიც და მეც დავრწმუნდით, რომ დღევანდელ მძიმე ვითარებაშიც კი, თითოეულს შეუძლია გააკეთოს კონკრეტული საქმე საქართველოში ნორმალური ცხოვრების რიტმის აღდგენისათვის. მოქალაქეთა კავშირმა თავის ყრილობაზე ტერიტორიული მთლიანობისა და წესრიგის აღდგენასთან ერთად, 1994 წლის პრიორიტეტულ მიმართულებად ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებაც მიიჩნია. უკვე რამდენიმე, მათ შორის საგანგებო ინიციატივა განხორციელდა. მაგრამ, ეს კონფერენცია თავისი შედეგებით უეჭველად ცალკე გამოყოფის ღირსია. მისი გამართვა შესაძლებელი გახდა მეწარმეების, პოლიტიკოსებისა და მთავრობის წარმომადგენელთა მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გადამწყვეტი როლი, რაც ქართველმა მეწარმეებმა შეასრულეს. მათ პრაქტიკულად „გვაიძულეს“ მთელი სერიოზულობით დაგვეწყო მუშაობა ეკონომიკის, მეწარმეების პრობლემებზე, „გვაიძულეს“ ზოგადი პოლიტიკური ლოზუნგების სფეროდან ჩვენი თითოეული მოქალაქის, თითოეული საწარმოს პრობლემას მივბრუნებოდით.** ეს გახდა ჩვენი რეალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ღერძი. საზოგადოდ, ვფიქრობ, რომ საქართველოში მეტად მნიშვნელოვანი პროცესი დაიწყო. ქართველი მეწარმეები აღარ სჯერდებიან მოვლენათა განვითარების უბრალო მეთვალყურის მდგომარეობას. ისინი სავსებით კონკრეტულ და მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ პოლიტიკოსებს. ეს არის საქართველოში ახალი — მეწარმეთა და მესაკუთრეთა კლასის ჩამოყალიბების პირველი ნიშანი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ისინი შეიტანენ საბოლოო გარდატეხას ჩვენი სახელმწიფოს აღორძინების საქმეში.

2. არ იქნება ეკონომიკური სტაბილურობა, არ იქნება პოლიტიკური სტაბილურობა

ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის ერთი შეხედვით ორდინარული პირველი კონფერენცია, რომელიც 20-28 ივლისს გაიმართა თბილისში.

მაგრამ თუ ამ კონფერენციას იმ შედეგების ფონზე განვიხილავთ, რაც საბჭოთა კავშირის უმჭიდროესად ინტეგრირებული, ერთიანი, მონოლითური სახალხო-სამეურნეო კომპლექსის და სახელმწიფო-პოლიტიკური სტრუქტურების შემაკავშირებელი იდეოლოგიის მოულოდნელ, უეცარ ნგრევას მოჰყვა უკლებლივ ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკისათვის, აგრეთვე ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის, ცხადი გახდება რამდენად სასიცოცხლოდ აუცილებელია (არა მარტო ყოფილი საბჭოთა იმპერიის ხალხებისათვის) ყოვლისმომცველი უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად განახლებულ საფუძველზე ეკონომიკური კავშირურთიერთობის აღდგენა, ერთიანი ეკონომიკური სივრცის აგება, ეკონომიკური კავშირის შექმნა.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მდგომარეობას უკიდურესად ართულებს და ამწვავებს რამდენიმე თაობისათვის უკვე უცხო, უჩვეულო, დავიწყებულ, იდეოლოგიურად და პრაქტიკულად „დაგმობილ“ კერძომესაკუთრულ საფუძვლებზე, საბაზრო ეკონომიკის „შოკური მეთოდებით“ უმოკლეს ვადებში ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მშენებლობის ფსიქოლოგიურად და სოციალურად უმძიმესი პროცესი. კაცობრიობამ მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის დღევანდელი დონის მიღწევას თითქმის ხუთასი წელიწადი მოანდომა. ეს გზა ძვირად დაუჯდა კაცობრიობას — პორტუგალიელები, ესპანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები, იტალიელები, გერმანელები და ევროპის სხვა ხალხები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოიფანტა. **დღესაც მოქმედებს ჯერ კიდევ შემორჩენილი ჯუნგლების „მგლური კანონები“, რომლისგან განთავისუფლებას ახლანდელი რომის პაპი იოანე-პავლე მეორეც ქადაგებს.**

პოსტკომუნისტურ სამყაროში **„საბჭოური ყაიდის სოციალიზმიდან“** კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლის „გარდამავალი პერიოდი“ მიმდინარეობს უაღრესად რთულ, უმძიმეს, ზოგ შემთხვევაში განუჭვრეტელ ვითარებაში, როცა „ძველი“, საბჭოური ყაიდის სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები დანგრეულია ან ინგრევა, „ახალი“, რბილად რომ ვთქვათ, ჩამოყალიბების ამორფულ პროცესშია, „ძველი“ კანონები არ კანონებენ, ახალი კანონების მიღება იგვიანებს. ეკონომიკური კავშირები დაწყვეტილია. არ არსებობს არც კერძო საბანკო-საფინანსო საქმიანობის გამოცდილება, არც სათანადო კადრები, მიმდინარეობს ეროვნული ვალუტის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაუსაბუთებელი ან იძულებითი, ან ეიფორიული შემოღება, გამმიჯნავი საბაჟოების, პოლიტიკური საზღვრების შექმნა. **სამწუხაროდ, გრძელდება ერთიანი სავაჭრო-ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო სისტემის გაუმართლებელი ლიკვიდაცია — მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ანომალიის წარმოქმნა.**

უწინარეს ყოვლისა, იაფ ენერგორესურსებზე, ნედლეულზე, პურპროდუქტებზე და ინფრასტრუქტურაზე ურთიერთანგარიშსწორების საერთაშორისო ფასებზე გადაყვანით „პოსტკომუნისტურ სივრცეში“ დაიწყო დამანგრეველი პროცესი, რომელმაც ძირი გამოუთხარა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკას, იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის კატასტროფულ, კრიტიკულ დაქვეითებას, ქმნის უდიდესი ძალისა და მასშტაბების სოციალური აფეთქების საშიშ ნიადაგს, საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას.

ფასების უეცარმა, გაუაზრებელმა ლიბერალიზაციამ „შოკური თერაპიის“ მეთოდებით საბაზრო რეფორმების გატარების დაწყებამ გრიგალივით გადაურა ყოფილ საბჭოთა იმპერიას, უკიდურესად დააჩქარა ეკონომიკური სტაგნაციის პროცესი.

არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში, არავინ იცის ზუსტი, უტყუარი „რეცეპტი“, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ისე, რომ მას არ მოჰყვეს სოციალური აფეთქება თვით დასავლეთისათვის უმძიმესი შედეგებით, არ მოხდეს საბაზრო ეკონომიკისადმი იმედის გაცრუება, „ტოტალიტარიზმისაკენ შემობრუნება“.

ყოფილი საბჭოთა იმპერიის უეცარი დაშლა-დანგრევის გამო ეიფორიამ დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სახელმწიფო და პოლიტიკური წრეებიც მოიცვა, მით უმეტეს, რომ დასავლეთის ყველაზე ავტორიტეტულ „სოვეტოლოგებს“, მეცნიერ-პოლიტიკოსებს, გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწეებს ვერ წარმოედგინათ სოციალისტური სამყაროს „მთავარი ბურჯის“, ციტადელის, მეოცე საუკუნის ზესახელმწიფოს ესოდენ მოულოდნელი, სწრაფი დანგრევა, ვერ შეძლეს ამ საოცარი გრანდიოზული მოვლენის გაუთვალისწინებელი შედეგების თუნდაც მიახლოებითი განჭვრეტა. ვარაუდობდნენ საუკუნის ამ ფენომენის დიდხანს არსებობას ან მის თანდათანობით ტრანსფორმაციას, კაპიტალიზმთან კონვერგენციას. არც ის ჰქონდათ სათანადოდ გააზრებული, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა „ბიპოლარული მსოფლიო წონასწორობის“ დარღვევის ამ გრანდიოზულ, საოცარ მოვლენას.

ამდენად, დიდი სიფრთხილით, აწონ-დაწონილად, წარსულის სპეციფიკის ობიექტური შესწავლის გათვალისწინებით უნდა ფასდებოდეს თუნდაც ყველაზე ავტორიტეტული, მათ შორის ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიც არის საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ისტორიკოს-პოლიტოლოგების, გამოცდილი პოლიტიკოსების რეკომენდაციები, მათი გამოცდილება. ისეთი „პაციენტები“, როგორიც ყოფილი საბჭოური ყაიდის სოციალისტური ქვეყნებია, პირველია მათ პრაქტიკაში, ხოლო თუ რა მოჰყვა დასავლეთის რეკომენდაციების გაუაზრებელ, მოუმზადებელ დანერგვას, ამის მაგალითია რუსეთში ფასების ლიბერალიზაციის ტაიფუნი, რეფორმისტული დემოკრატიული ძალების მარცხი პარლამენტის არჩევნებში, უპრეცედენტო ეკონომიკური სტაგნაცია.

დასავლეთის მრავალ წამყვან პოლიტიკოსს, ეკონომისტს, კვლევით ცენტრს დღეს უკვე კარგად ესმით, რომ „ერთი ხელის მოქნევით“ საბაზრო ეკონომიკის დანერგვას მძიმე, უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები მოაქვს, მძლავრი სოციალური აფეთქების ნიადაგს ქმნის. მწვავედ აკრიტიკებენ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს ჯეფრი საქსს (რუსეთის მთავრობის ყოფილ მრჩეველს), რომელიც რუსეთის ყოფილი პრემიერის ეგორ გაიდარის „შოკური თერაპიის“ სულისჩამდგმელი იყო.

თუ რაოდენ ძნელი და რთული ყოფილა სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტურ საწყისებზე გადაყვანა და რა ფასად შეიძლება დაუჯდეს იგი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს, ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს აგრეთვე ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული სოციალისტური სახელმწიფო იყო. **დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანების შემდეგ მისი ეკონომიკის გარდაქმნაზე ბონმა უკვე 560 მილიარდი მარკა გაიღო, რაც სამჯერ მეტია იმ თანხაზე, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიის აღორძინებისათვის გამოყო და რასაც „გერმანიის საოცრება“ მოჰყვა.** და მაინც, აღმოსავლეთ გერმანია დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანებამდე რომ აწარმოებდა, იმ პროდუქციის 62 პროცენტს აწარმოებს დღეს. როგორც დასავლეთში აღნიშნავენ, მხოლოდ ახლა, სამი წლის შემდეგ გამოჩნდა მდგომარეობის გაუმჯობესების „სუსტი სინათლე“, 16 მილიონი მცხოვრებიდან მილიონ ასი ათასი უმუშევარია და სოციალურ დახმარებას ღებულობს. „გერმანიის მეორე საოცრება“ შორეული პერსპექტივაა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი აღიარებს, რომ ყოფილი კომუნისტური ქვეყნები რთულ გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან, რომ ეს პროცესი ხანგრძლივი და არასწორხაზოვანი იქნება, ამომრჩევლებმა ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებში ხმა მისცეს რეფორმების წინააღმდეგ, რომლებიც მათთვის ძალზე მტკივნეული გამოდგა, რომ რეფორმების გატარებას „მრავალი წელიწადი დასჭირდება, შეიძლება ათწლეულებიც“. ამის შესახებ ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას ლაპარაკობდა.

რუსეთ-საქართველოს პირველმა ეკონომიკურმა თათბირმა თბილისში დაადასტურა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებმა მიაგნეს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას, რომელიც მსოფლიო ინტეგრაციული გარდაუვალი პროცესების ლოგიკიდან გამომდინარეობს — ახალ საფუძველზე უნდა აღდგეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების (პერსპექტივაში — ყოფილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების) ერთიანი ეკონომიკური სივრცე, შეიქმნას მჭიდრო ეკონომიკური კავშირი მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ღირსეული ჩართვისათვის.

ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბების უმართავი, ბირთვულ საუკუნეში განსაკუთრებით საშიში პროცესი. ბიპოლარული მსოფლიოს, ცივი ომის ხანის, „დაძაბული მშვიდობის“ თითქოსდა პარადოქსული სტაბილურობის პერიოდი ისტორიის კუთვნილება გახდა.

სოციალისტური სამყაროს სახელმწიფო, პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემის, სტრუქტურების უეცარმა მსხვრევამ მსოფლიო სტაბილურობა საფუძვლიანად შეარყია, კაცობრიობას მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შექმნისაკენ უბიძგა. არნახული ძალით იფეთქა მთვლემარე ეროვნებათაშორისმა, ეთნიკურ-კონფესიური შეუთავსებლობის კონფლიქტებმა, აგრესიულმა სეპარატიზმმა, წვრილ-წვრილი „დამოუკიდებელი“, „სუვერენული“ სახელმწიფოების შექმნის მისწრაფებამ.

საყოველთაო მშვიდობისათვის გლობალური უდიდესი საფრთხის საპირისპიროდ, დღევანდელ მსოფლიოში ხულ უფრო იკვეთება წამყვანი დიდი სახელმწიფოების მისწრაფება მართვადი გახადონ ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ქაოსური პროცესი, მტკიცედ აიღონ ხელში მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის სადავეები, წესრიგისა და სამართლიანობის დასამყარებლად (ან აღსადგენად) მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში. იქ, სადაც ირღვევა ადამიანის ეკონომიკური, მორალური, ზნეობრივი, ჭეშმარიტად დემოკრატიული უფლებები, ალაგმონ ის დანაშაულებრივი მთავრობები, რომლებიც საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ, აჩაღებენ ტერორიზმს, ნერგავენ კაცთმოძულეობას, არ ამკვიდრებენ ზოგადკაცობრულ ფასეულობებს.

დასავლეთის წამყვანი ქვეყნების „დიდი შვიდეულის“, რუსეთის მონაწილეობით, პოლიტიკურ „დიდ რვიად“ გადაქცევა მიანიშნებს მსოფლიო გამგებლობის (ჭეშმარიტად დემოკრატიული გაგებით) ერთიანი ავტორიტეტული ცენტრის ჩამოყალიბების შეუქცევად, აუცილებელ პროცესზე — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნამდვილად დემოკრატიული რუსეთის სტრატეგიული თანამშრომლობის საფუძველზე, რასაც ჯერ კიდევ დე გოლი წინასწარმეტყველებდა.

ყოველგვარი კრიზისის — ეკონომიკურის, პოლიტიკურის, ეთნიკურის, ეროვნებათშორისის, კონფესიურის, იდეოლოგიურის დაძლევის რეალურ ნიადაგს გარდაუვალი მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების უნივერსალობა, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ადამიანთა შეგნებასა და მოქმედებაში დამკვიდრება ქმნის.

XXI საუკუნე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების საუკუნე იქნება.

ირაკლი ჯაფარიძე.

დეპარტამენტ „საქენერგოს“ პრესსამსახურის

განცხადება

დეპარტამენტ „საქენერგოს“ მრავალჯერ მოთხოვნის მიუხედავად, რესპუბლიკის საწარმოები და მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დროულად არ ფარავს, ამის გამოც დებიტორულმა დავალიანებამ 5,0 ტრილიონ კუპონს გადააჭარბა.

ინფლაციის პირობებში ელექტროენერგიის დავალიანების დაგვიანებით დაფარვა „საქენერგოს“ დიდ ფინანსურ ზარალს აყენებს, ხელს უშლის მომავალი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის დროულ მომზადებას და აფერხებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების შემოტანას, ეს კი გაცილებით რთულ ვითარებაში ჩააყენებს რესპუბლიკას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

დღეისათვის დიდი დებიტორული დავალიანება აქვთ: „თბილწყალკანალს“ — 800, საწარმოო გაერთიანება „აზოტს“ — 500, „ქელასს“ — 200, „ჭიათურმანგანუმს“ — 120, ქუთაისის ავტოქარხანას — 45, საქართველოს რკინიგზას — 130, რუსთავის ელნაგებობათა სამმართველოს — 70, ტყიბულის „საქნახშირს“ — 43 მილიარდი კუპონი.

განმეორებით ვთხოვთ მოვალეებს უმოკლეს ვადაში დაფარონ ელექტროენერგიის დავალიანება, რაც შემდგომში რესპუბლიკის ენერგოსისტემის ნორმალური ფუნქციონირების გარანტია იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტი „საქენერგო“ იძულებული იქნება ურჩ გადამხდელებს შეუწყვიტოს ელექტროენერგიის მიწოდება.

აფხაზი სეპარატისტები დუდაევს ეხმარებიან

ამ ბოლო დღეებში სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური წყაროებიდან მოდის ცნობები, რომ აფხაზეთიდან ჩეჩნეთში გაემგზავრნენ ბოევიკთა ჯგუფები ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის დასახმარებლად.

17 აგვისტოს მონაცემებით, დუდაევის დასახმარებლად გროზნოში სულ გაემგზავრა 200-მდე ბოევიკი, რომელთა უმრავლესობას აფხაზი ეროვნების მოქალაქენი შეადგენენ. ყველა ამ ბოევიკმა 1992-1993 წლებში სპეცმომზადება გაიარა გროზნოში და მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებაში ქართული ჯარებისა და მოხალისეების წინააღმდეგ აფხაზეთში.

მიაგნეს სითბოსა და სიყვარულს

120 ობოლი ბავშვი აფხაზეთიდან დასასვენებლად იმყოფება გურჯაანის რაიონში. მათი კვების, დაბინავებისა და ტანსაცმლით უზრუნველყოფის მთელი ხარჯები კაჭრეთის პურის კომბინატმა გაიღო.

რას წერენ რუსეთის გაზეთები

მოსკოვი, 16 აგვისტო, (იტარ-ტას საქინფორმი). „იზვესტია“ მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობს ჩეჩნეთში რუსეთის ფედერაციის ყოფილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რუსლან ხასბულატოვის საქმიანობას, რომელიც, როგორც გაზეთი წერს, რესპუბლიკაში ლიდერობის პრეტენზიას აცხადებს. ჯერჯერობით დაპირისპირებული მხარეები გამალებით იარაღდებიან, საბრძოლველად ემზადებიან, ხაზს უსვამს გაზეთი. რ. ხასბულატოვმა მჩქეფარე „სამშვიდობო საქმიანობა“ გააჩაღა. მაგრამ „ჩეჩნეთის ხელისუფალნი ირონიით იღიმებიან სახელგანთქმული თანამემამულის ძალისხმევაზე“.

როგორც **„ნეზავისიმაია გაზეტა“** წერს, ჩეჩნეთში გადაიკვეთა ხასბულატოვისა და ლაბაზანოვის გზები, რომელიც დუდაევისადმი ოპოზიციურ დაჯგუფებას მეთაურობს. გროზნოს აზრით, შენიშნავს გაზეთი, რუსეთის ყოფილი პარლამენტარის კონტაქტები სისხლის სამართლის დამნაშავესთან ხელს როდი უწყობს მისი ავტორიტეტის ზრდას.

„როსიისკაია გაზეტა“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „ნეზავისიმაია გაზეტა“, „ტრუდი“ აშუქებენ ვოლგისპირეთში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის მოგზაურობას. **„ნეზავისიმაია გაზეტა“** განმარტავს ბ. ელცინის მიერ ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორის ბორის ნემცოვის მისამართით გამოთქმულ „კომპლიმენტს“, რომელიც, როგორც მან თქვა, „შეიძლება კარგი პრეზიდენტი დადგეს“. მაგრამ, წერს გაზეთი, „ნემცოვს მეორე ვადით გუბერნატორობა სურს და შიშობს, ვაითუ პრეზიდენტის ქათინაურმა სახელი გაუტეხოს“.

„გენერალ ა. ლებედს დანაშაულად მიაჩნია მეთოთხმეტე არმიის დაშლა“ — **„სოვეტსკაია როსია“**. „მე-14 არმიის რეორგანიზაცია გაიყინა“ — **„ნეზავისიმაია გაზეტა“**, „სჭირდება თუ არა რუსეთს დნესტრისპირეთის საზღვარი“ — **„რაბოჩაია ტრიბუნა“**. ასეთი სათაურებით ბეჭდავენ გაზეთები რუსეთის მეთოთხმეტე არმიის გარშემო ამბებისადმი მიძღვნილ სტატიებს. არმიის სამმართველო სტრუქტურების შემცირებით გამოწვეულ „სკანდალს“ **„კრასნაია ზვეზდა“** იმის საჭიროებით ხსნის, რომ „უნდა გარდაიქმნას მოლდოვის ტერიტორიაზე დროებით მყოფი რუსეთის საჯარისო ფორმირებები „სამართავად უფრო მოხერხებულ ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურად“. სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის პირველი მოადგილის გენერალ-პოლკოვნიკ ედუარდ ვორობიოვის აზრით, რომელიც მოჰყავს გაზეთს, ეს აგრეთვე დაკავშირებულია მოლდოვიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ მიღწეულ მორიგებასთან.

„მთავრობა ამზადებს ახალ „საქაფავ ადგილს“ კორუმპირებული მოხელეებისათვის“, — წერს **„იზვესტია“**, — ეს ადგილი, ხაზს უსვამს იგი, გაჩნდება, თუ მიიღებენ მთავრობის დადგენილებას „ცალკეულ სახეობათა საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“. ეს დადგენილება, წერს შემდეგ „იზვესტია“, „სწვდება“ დაახლოებით 80 სახეობის საქმიანობას, რომელთა შესრულების უფლება უნდა გამოსთხოვო ფედერალურ სამინისტროებს ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, ამასთან, ნუსხაში აღნიშნულ სახეობათაგან თითოეული საქმიანობა იმდენად ვრცელი განმარტების შესაძლებლობას იძლევა, რომ სურვილის შემთხვევაში ლიცენზირებულ ქსელში პრაქტიკულად ხვდება მთელი სამეწარმეო საქმიანობა“.

„როსიისკაია გაზეტას“ ფურცლებზე გამოდის ცნობილი ეკონომისტი ევგენი იასინი, რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის საექსპერტო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რომელმაც მოამზადა „ქვეყანაში ემოციურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი“. ე. იასინი ვრცლად განმარტავს ამ დოკუმენტს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

არ მოსწონთ რუსეთის გადაწყვეტილება

მატულობს ესტონეთის შეშფოთება რუსეთის იმ გადაწყვეტილების გამო, რომ აპირებს ცალმხრივი წესით მონიშნოს საზღვარი ამ ორ სახელმწიფოს შორის. პრემიერ-მინისტრმა მარტ ლაარმა ორშაბათს რუსეთის ფედერაციის ელჩს ალექსანდრე ტროფიმოვს გააცნო ესტონეთის თვალსაზრისი ამ საკითხზე.

ახლანდელი საზღვარი რუსეთთან ესტონეთის მხარეს „საკონტროლო ხაზად“ მიაჩნია, მაშინ როცა ახლანდელი, მისი თვალსაზრისით, სახელმწიფო საზღვარი, ტარტუს მშვიდობიანი ხელშეკრულების თანახმად, გადის რუსეთის ტერიტორიის სიღრმეში და ესტონეთის შემადგენლობაში შეიცავს ახლანდელი ფსკოვისა და ლენინგრადის ოლქების ნაწილს. ესტონეთის ხელისუფალთა აზრით, წუხილს იწვევს ისიც, რომ რუსეთმა ასეთი ნაბიჯი გადადგა ივლისის უმაღლესი დონის შეხვედრის უმალვე, რომელზეც მიღწეული იყო გარკვეული პროგრესი ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

ელჩი ტროფიმოვი პრემიერს შეპირდა, რომ აცნობებს რუსეთის ხელმძღვანელობას ესტონეთის მხარის აზრს და ჩამოაყალიბა რუსეთის თვალსაზრისი ამ პრობლემის გამო. რუსეთი, როგორც ცნობილია, მხარს უჭერს ომისშემდგომ ევროპაში საზღვრების ურყევობის პრინციპს. ამას გარდა, თითქოს „ოდინდელი ესტონური მიწები“ ფსკოვის ჩუდისპირეთსა და ლენინგრადის ოლქის ივანგოროდის მიდამოებში, მუდამ შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში, ოც-ოცდაათიანი წლების გამოკლებით, როცა ისინი ესტონეთმა შეიერთა როგორც ოკუპირებული მიწები 1919-1920 წლების განმათავისუფლებელი ომის დროს.

ლატვიის მთავრობის მოწვევით

ლატვიის მთავრობის მოწვევით რიგაში ჩავიდნენ რუსეთის ყველაზე გავლენიანი გამომცემლობების, სააგენტოებისა და ტელერადიოკომპანიების ჟურნალისტები.

ორშაბათს გაიმართება სტუმრების შეხვედრა პრემიერთან ვალდის ბირკავსთან. შესაძლოა, მალე პრესის ცნობებში მის თანამდებობას დაემატოს „ექს“: ხუთშაბათს სეიმი განიხილავს მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას, რომელიც მთავრობის მეთაურის პოსტის კანდიდატმა ანდრის კრასტინშმა შექმნა. იგი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია. ამ მოძრაობის წარმომადგენლებთან შეხვედრაც არის გათვალისწინებული რუსი სტუმრების პროგრამაში.

როგორც მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი იუწყება, ჩამოსულ 18 ჟურნალისტს შორის არ ენებიან ტელეკომპანია „ოსტანკინოს“ წარმომადგენლები. მისმა ხელმძღვანელობამ, განმარტეს პრესცენტრში, როცა შეიტყვეს, რომ აქციას ლატვიის მთავრობა აფინანსებს, გადაწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს „ჟურნალისტთა დესანტში“. მოგზაურობას, რომელიც ოთხ დღეს გასტანს, აწყობდა ლატვიის მოსკოვის ელჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ყველგან შინ ვართ!

როგორ ცხოვრობთ, გაქართლელებულო აჭარლებო?

ვენი მანქანა სოფლის ქუჩას უყვება და გზის პირას კოხტად ბული სახლებიდან თუ ობიდან ხან ვინ შეგვაგებებს რას, ხან ვინ...

სწრაფად გაირბინა ხუთმა წელიწადმა! 1989 წლის გაზაფხულზე თავსდატეხილმა სტიქიურმა მოვლენებმა აჭარის მაღალმთიანი სოფლების ათასობით ადამიანი თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან აჰყარა. ისინი მთელმა საქართველომ შეიფარა, სითბო, ჭერი და პური უწილადა, სხვადასხვა რაიონებში დაასახლა. 107 ოჯახი იმხანად გორის რაიონშიც ჩამოვიდა. ხელისუფლებამ დაზარალებულები საზოგადოებრივი მეურნეობის, პროფტექნიკური სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში მოათავსა, მისცა სარჩო-საბადებელი და სამსახური.

მახსოვს, რამდენიმე საგაზეთო წერილით გამოვეხმაურე მაშინ წყურს გამოქცეული აჭარლების ქართლის მხარეში ჩამოსახლებას.

— შემდეგ ის იყო, — ამბობს შიდა ქართლის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ფონდის თავმჯდომარე გურამ კვიწინაძე, — დაიწყო მასობრივად ჩამოსახლებულთათვის ბინების შეძენა. ამ საქმეში დიდად გამოიჩინეს თავი საწარმო-დაწესებულებებმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, ქალაქისა და რაიონის მოსახლეობამ. დემოგრაფიის ფონდმა ბინების მშენებლობისათვის გორის შემნახველი ბანკიდან 68 ოჯახს გამოუყო კრედიტი 1500000 მანეთის ოდენობით. ზოგიერთს, მაგალითად, კარალეთში ჩასახლებული გენადი ქემალაძის ხელმოკლე ოჯახს უპროცენტო სესხის სახით 80 ათასი მანეთი მისცა. დღეს ქემალაძეები საკუთარ სახლში ცხოვრობენ.

ბევრმა თავისით ააშენა, ბევრმა იყიდა, სხვებს სახელმწიფო დაეხმარა... ასე დასახლდნენ, დამკვიდრდნენ, დაბოლოს, გაქართლელდნენ კიდეც აჭარლები ქართლის გულში.

...მანქანა მწვანედ შეღებილ ჭიშკართან გაჩერდა. ბავშვების ჟრიამულს მიჰქონდა იქაურობა. კარებში დიასახლისი გამოჩნდა, ეზოში შეგვიპატიჟა. ასე აღმოვჩნდით სოფელ შავშვებში მცხოვრებ შაქრო ცეცხლაძის ოჯახში.

— ბატონი შაქრო ჩვენი სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელია, — გვეუბნება შავშვების სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი ავთანდილ წკრიალაშვილი, — საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს. სოფლად ბევრი სასიკეთო საქმის წამომწყები და ორგანიზატორია, ჩვენი ბავშვების მოამაგე და აღმზრდელი.

მესიამოვნა, ასე კარგად რომ „ჩაწერილა" აჭარელი კაცი ქართლის სოფლის ყოფაში.

იმ დღეს ბევრი აჭარელი მოვინახულეთ შავშვებსა და ახლომახლო სოფლებში. აი, წითელუბნის არასრული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე თამაზ ცეცხლაძის ოჯახი. თერთმეტი სული ცხოვრობს აქ — მამა, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები.

თამაზის მამა, ბატონი მიხეილი, ომისა და შრომის ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკია. ხულოს რაიონში დაფასებული კაცი იყო და დღეს არც გორელების სიყვარული და პატივისცემა აკლია. თამაზის შუათანა ვაჟმა ჯემალმა ხულოს სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და ახლა ღვთისმსახურებისთვის ემზადება. ამასობაში უფროსი ძმა 18 წლის მალხაზი დაოჯახდა და ამ დღეებში მამა გახდა.

მეზობლად ასლან შავაძე ცხოვრობს. მისი მეუღლე მაყვალა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის V კურსის სტუდენტია, ასლანი მეურნეობაში შრომობს. ახალგაზრდული ოჯახი სავსეა ღიმილით, ოცნებით და იმედებით.

ღმერთმა ყველაფერი აგიხდინოთ!

იქვე, ხურვალეთში ცხოვრობს მახარაძეების ოჯახი. ოჯახის უფროსი მერაბი ხურვალეთის საშუალო სკოლის მასწავლებელია. ამ სკოლის დირექტორის ამირან შავაძის ოჯახიც ხულოს რაიონიდან არის ჩამოსახლებული.

მეტწილად შეძლებულად ცხოვრობენ აჭარლები. ბევრ ოჯახს აქვს ავტომანქანა, ავეჯით გაწყობილი ოთხ და ხუთოთახიანი საცხოვრებელი სახლი. ჩამოსახლებისას თითოეულმა ოჯახმა სამოსახლოდ 0,30 მიწის ფართობი მიიღო (შავშვების თემში იმ პერიოდში ნორმა 0,25 ჰა იყო), ახლა საკარმიდამო ნაკვეთები შეუვსეს და თითოეული ოჯახი 0,60-0,75 ჰექტარ მიწის ფართობს ფლობს.

— ბედს არ ვუჩივით, — ყველას სათქმელი თქვა შავშვების საშუალო სკოლის დირექტორმა შაქრო ცეცხლაძემ. — სავსებით ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის, ცხოვრების ყველა სფეროში სტაბილურობის მიღწევისათვის. და ამ დროს, გაოცებას იწვევს ე. წ. ეროვნული ძალების წადილი — ააგორონ აჭარაში ძალადობისა და ძმათა სიძულვილის ტალღა. არ გამოუვათ! ყველა აგვაღელვა და ჩაგვაფიქრა ამ დღეებში „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე დაბეჭდილმა მწერალ რევაზ ჯაფარიძის წერილმა. წერილის ყოველი სტრიქონი შეჯერებულია სინამდვილესთან, თითოეული ჩვენგანის ფიქრსა და აზრთან. შენიშვნა ერთი გვაქვს მხოლოდ: წერილში ნათქვამია, რომ ამ დღეებში გორიდან აჭარაში 260 ოჯახი დაბრუნდა. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე აჭარიდან გორის რაიონში 107 ოჯახში ჩაასახლეს. დემოგრაფიულ ფონდში აღრიცხული 68 ოჯახიდან (ვისზეც სესხი გაიცა) გასულ წლებში სულ 9 ოჯახია დაბინავებული. ეგ არის და ეგ. სხვები გორის რაიონში დავსახლდით, საშვილიშვილოდ დავფუძნდით და მუდამ აქ ვიცხოვრებთ.

— უმადურობა იქნებოდა არ აღგვენიშნა ის ყურადღება და ზრუნვა, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება იჩენს ჩვენდამი, — თქვა მაყვალა ცეცხლაძემ, — მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

კიდევ რამდენიმე ოჯახი მოვინახულეთ. გაღიმებული სახეები, დიასახლისების ენამზიანი მიპატიჟება, „მობრძანდით, დაგვხედეთ, დაგვაფასეთო", ჭიშკრიდან ჭიშკრამდე მიგვაცილებდა.

სოფლის ორღობეებში ქათმები კრიახობდნენ, ხბო დედას ეძებს, ინდაური — თავის ჭუკებს, აგურით ნაგები ორსართულიანი სახლის გაღებული ფანჯრებიდან ნაცნობი მელოდია შემოგვესმა: „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე..."

შავშვები-ხურვალეთის სანახებში მზე ჩადიოდა, გზაზე ჩრდილები წვებოდნენ, წყაროდან გოგო-ბიჭები სავსე კოკურებით ბრუნდებოდნენ შინ. მაშვრალი სოფელი მოსასვენებლად ემზადებოდა, ხვალაც სამუშაო დღე უნდა გათენდეს...

გურამ ვაშაკიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

რატომ შეწყდა „საუბრები ბიბლიაზე"

კარგა ხანია მეკითხებიან, როგორც „საუბრების" ავტორსა და წამყვანს (ისევე, როგორც ეკითხებიან მის მონაწილეებს — ბიბლიის მთარგმნელს ზურაბ კიკნაძეს და ფსალმუნების მთარგმნელს ჯემალ აჯიაშვილს) რატომ არ გადაიცემა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიით „საუბრები ბიბლიაზე". მეკითხებიან თბილისში, მეკითხებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მეკითხებიან სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები, სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა ინტელექტუალური დონის ადამიანები.

ეტყობა, ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, მეტიც, მე ვალდებული ვარ, მას პასუხი გავცე, მაგრამ პასუხამდე თავად ამ გადაცემის დაარსების და ამ ციკლის ჩამოყალიბების ისტორიაზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა, და ამ აუცილებლობაზე, რამაც დაბადა გადაცემათა ეს ციკლი.

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში ხელისუფლების მიერ წახალისებულმა ქართველთა ურთიერთსიძულვილმა შეიარაღებულ შეტაკებაში და ერთმანეთის ხოცვაში ჰპოვა გამოხატულება. ეს სიძულვილის ტალღა ნელ-ნელა უკუქცევისკენ მიდის, მაგრამ საქართველოში სიძულვილი ჯერ კიდევ მძლავრობს, სიძულვილი ზოგჯერ კიდევ განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ და მნიშვნელოვან ნაბიჯებს.

ამ სიძულვილის დაავადებისგან განკურნება ერთბაშად რომ შეუძლებელი იყო, ეს იმთავითვე ჩანდა. ჩემთვის იმთავითვე ისიც ცხადი გახლდათ, რომ საზოგადოებას ყოველდღიური და ყოველწამიერი მკურნალობა სჭირდებოდა და უებარი საშუალება ამ მძიმე დაავადებისაგან განკურნებისა ღვთის სიტყვა, წმინდა წიგნი — ბიბლია გახლდათ.

მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანამდე რომ ჭეშმარიტად მიხვიდე, უნდა დაინტერესდე ამ ყოველივეთი, გსურდეს გაიგო, ილტვოდე მისკენ, გაგიჩნდეს მუდმივი და დაუოკებელი სურვილი მასთან მისვლისა.

ამ თვალსაზრისით ჩვენს სკოლას, ჩვენს მწერლობას, მეცნიერებას, პრესას, ტელევიზიას უდიდესი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა აქვს ჩასატარებელი, რომ ღმერთს მივუბრუნდეთ, როგორც უმაღლეს და ერთადერთ ჭეშმარიტებას, რომ დედა ეკლესიას შევაფაროთ და შევავედროთ ჩვენი სულები.

1992 წლის დამდეგს, მოხდა ისე, რომ დანგრეული და დაშლილი საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელებმა, გოჩა ხუნდაძემ და ლევან ღვინჯილიამ მთხოვეს მეხელმძღვანელა გაფართოებული ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების მთავარი რედაქციისათვის, რომელშიც შევიდა კინოხელოვნებაც, სახვითი ხელოვნებაც და ლიტერატურული თეატრიც. მოკლედ, დიდი შემოქმედებითი გაერთიანება გამოვიდა, რომელსაც გაერთიანება „სხივი" დავარქვი.

უმთავრესი და უძნელესი პრობლემა იყო ერთ კოლექტივად გამეერთიანებინა ერთმანეთის საპირისპირებული, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მძულვარებით გამსჭვალული ადამიანები. ეს იყო საქართველოს მიკრომოდელი. და მთავარი, რაც მათ გააერთიანებდა, რაც მათში ჩააცხრობდა სიძულვილს, სიყვარული გახლდათ.

ამას ახლა, უკანა რიცხვით არ ვამბობ, რამდენიმე სპეციალური გადაცემაც გავაკეთე, წერილებიც დავბეჭდე, ხოლო ტელევიზიის თაობაზე ჩემი მოსაზრებანი მაშინვე გამოვაქვეყნე ტელევიზიის გაზეთში და წარვუდგინე კიდეც მოგვიანებით ხელმძღვანელობას. მაშინ ვწერდი: „ჩემის აზრით, პრინციპულად ახალი უნდა იყოს ის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც იმუშავებს მომავალში საქართველოს ტელევიზია — იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ცხოვრებისა და მისწრაფებათა ამსახველი და წარმმართველი, მისი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოყვასის სიყვარული, პრინციპი — პიროვნების განუმეორებლობისა და თავისუფლების აღიარება, მიზანი მრავალეროვნული ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური და კულტურული სპექტრის სრული წარმოსახვა.

საქართველოს ტელევიზია, ისევე, როგორც სრულიად საქართველო, მთელი მსოფლიოს მიმართ ღია უნდა იყოს, მაგრამ, ამავე დროს, მან — უნდა დაიცვას თავისი კულტურის განუმეორებლობა".

იქვე: „მეტად ნიშვნელოვნად მიმაჩნია — ჩვენი ტელევიზიის ზნეობრივი მიმართულების განსაზღვრა". ...„კონცეფციის შედგენისას, ალბათ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სიყვარული ღვთაებრივი გაგებით არის ფუნდამენტი საქართველოს ტელევიზიის მუშაობისა.

სწორედ ამიტომ დავიწყე ციკლი — „საუბრები ბიბლიაზე", რომელიც სხვადასხვა ტიპის მიმართულებებს აერთიანებს: საკუთრივ ბიბლია, ბიბლიური მოტივები მუსიკაში, ბიბლიური მოტივები სახვით ხელოვნებაში, ბიბლიური მოტივები მხატვრულ ლიტერატურაში. ამოცანის შესაბამისად გადაცემებიც, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარია — უშუალო საუბრიდან დაწყებული და მუსიკალურად თუ ვიზუალურად მდიდრული გადაცემებით დამთავრებული (გადაცემების ხანგრძლივობასაც ეს განსაზღვრავს 30 წუთიდან — 2.30 წუთამდე), ამ გადაცემისთვის მოწვეულ იქნენ — ზ. კიკნაძე, ჯ. აჯიაშვილი, ნ. ანდღულაძე, გ. ნიჟარაძე, მ. შანიძე. ეს სია კიდევ გაიზრდება, ზოგჯერ შეიცვლება წამყვანიც, გადაცემაც გარეგნულად დაიხვეწება — მაგრამ იგი „სხივის" ერთ-ერთ ძირითად გადაცემად მესახება და სისტემატურად უნდა იყოს ეკრანზე (სასურველია კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ, დიდისა და პატარისთვის მისაწვდომ ერთსა და იმავე დროს)".

ამ ჩანაფიქრიდან ნაწილობრივ განხორციელდა ორი — საუბრები ღვთიურ სიტყვაზე ანუ უშუალოდ ბიბლიაზე (ზურაბ კიკნაძესა და ჯემალ აჯიაშვილთან ერთად) და ბიბლიური მოტივები საოპერო ხელოვნებაში (გოგი ნიჟარაძესა და ნოდარ ანდღულაძესთან ერთად).

პირველი გადაცემა სავსებით შეგნებულად ხაზგასმით ასკეტურად გაკეთდა, რათა მსმენელის (და მაყურებლის) ყურადღება მხოლოდ სიტყვაზე, მხოლოდ აზრზე გადატანილიყო. ასეთი მიდგომა სავსებით ესადაგება მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციებსა და მოთხოვნებს. შორს რომ არ წავიდეთ, ამერიკული და რუსული ანალოგიური გადაცემები შეგვიძლია დავასახელოთ. ჩვენი განსხვავება მათგან იმაში მდგომარეობდა, რომ მოსაუბრე სამი იყო, რაც ქმნიდა გადაცემის დრამატურგიულ კოლიზიას, მისი დაძაბულობის საფუძველს. წამყვანის პოზიცია შეგნებულად იყო დენტური მაყურებლის (მსმენელის) პოზიციისა და დონისა, ტრიალოგის ორი მონაწილე, უმაღლესი კლასის სპეციალისტი, წარმატებით ცდილობდა აეხსნა წამყვანისათვის და მაყურებლისათვის ღვთის სიტყვა, ეზიარებინა იგი საღვთო სიყვარულთან, მის სულში დაემარცხებინა სიძულვილი და სიყვარული გაეღვიძებინა.

ჩვენ სიხარულით და ფაქტობრივად უსასყიდლოდ ვაკეთებდით ამ გადაცემებს.

არც ერთხელ მას არ დასჭირვებია მონტაჟი (გარდა ერთი-ორჯერ უჩემოდ დამონტაჟებული მწირი ვიზუალური მასალისა), ჩვენ შეგვეძლო პირდაპირ ღია ეთერშიც გავსულიყავით. ეს იყო ერთ-ერთი იაფი გადაცემა.

ბოლო შვიდი წელი მე ინტენსიურად ვთანამშრომლობ საქართველოს რადიოსა და ტელევიზიასთან და ასეთი შინაგანი კმაყოფილება, ასეთი სულიერი სიმშვიდე ჩემთვის არც ერთ გადაცემას არ მოუტანია.

როგორც არაერთმა მითხრა, ეს სიმშვიდე და სიყვარული მაყურებელზეც გადადიოდა. რა თქმა უნდა, მიზეზი ამისა ღვთის სიტყვა გახლდათ და კიდევ ის, რომ ჩვენ, სამივე, ვლაპარაკობდით იმაზე, რაც გვწამდა, რაც გვიყვარდა, რასაც ვეთაყვანებოდით. სამივე ამ „საუბრებს" ჩვენს უმთავრეს საქმიანობად ვთვლიდით და საგანგებოდ ვემზადებოდით ყოველი გადაცემისათვის. ისიც გულს გვიკეთებდა, რომ მაყურებელი ელოდა ჩვენს გადაცემებს, მან მიიღო, იგი, მას სჭირდებოდა იგი...

დიდი ჯილდო იყო სამივესთვის, როდესაც ილია მეორემ მიგვიწვია თავისთან, გვაკურთხა ამ კარგ საქმეში და ახალი აღთქმით დაგვაჯილდოვა.

მეორე ციკლი, „ბიბლია მუსიკალურ ხელოვნებაში" (კონკრეტულად, საოპერო ხელოვნებაში) სულ რამდენიმე გაკეთდა და გადაიცა, შესანიშნავ მომღერალსა და პედაგოგ, პროფესორ ნოდარ ანდღულაძესა და მუსიკალური ხელოვნების იშვიათ მცოდნესთან გოგი ნიჟარაძესთან ერთად. ეს იყო მდიდრული გადაცემა, როგორც შეეფერება საოპერო ხელოვნებასა და იმ ბრწყინვალე კომპოზიტორებს, მომღერლებს, დირიჟორებს, მხატვრებს, რომლებიც მსოფლიო საოპერო ხელოვნების კორიფეებს წარმოადგენენ. აქ ღვთის სიტყვა შედარებით უკანა პლანზე იყო გადასული, მაგრამ ღვთის სიტყვით ინსპირირებული დიდი ხელოვნება ღვთაებრივად მოქმედებდა ადამიანის სულზე.

შემდეგ უნდა დაწყებულიყო ციკლი „ბიბლია სახვით ხელოვნებაში", „ბიბლია კინოხელოვნებაში", „ბიბლია თეატრალურ ხელოვნებაში", „ბიბლია მწერლობაში" და ნელ-ნელა ღვთიური სიტყვა და მისგან წარმოშობილი დიდი ხელოვნება უნდა გამხდარიყო ყოველი ჩვენგანის სულიერი ამაღლების საფუძველი.

ყველაფერი ეს უნდა მომხდარიყო თანდათან, ნელ-ნელა. მაყურებელი მუდმივ მოლოდინში უნდა ყოფილიყო ასეთი გადაცემებისა. ეს უნდა ქცეულიყო ყოველი ჩვენგანის სულიერ მოთხოვნილებად. ამ ღვთიურ სიყვარულს უნდა დაეჭირა სიძულვილის ადგილი, მშვენიერებას — სიმახინჯისა, ურთიერთმიტევებას — მიუტევებლობისა, მაგრამ მოვლენები მერე სხვაგვარად განვითარდა და ჩემი გეგმებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვეღარ განხორციელდა.

1993 წლის ბოლოს მე შემომთავაზეს გადავსულიყავი სამუშაოდ სახელმწიფოს მეთაურის აპარატში მთავარ სახელმწიფო მრჩევლად კულტურის დარგში. ერთხანს ორივეგან ვმუშაობდი, მერე, ახალ სამსახურში გადასვლისას, საქართველოს ტელევიზიას ოფიციალურ განცხადებაში ვთხოვდი, რომ „საუბრები ბიბლიაზე" ჩაესვათ გადაცემათა მყარ ბადეში. თითქოს შემპირდნენ, მაგრამ... „საუბრები" შეწყდა.

ოფიციალური არგუმენტი ერთია: გადაცემას აკლია გამომსახველობითი მასალა, არადამაკმაყოფილებელია მისი ვიზუალური მხარე. ესაა ოფიციალური არგუმენტები. არაოფიციალურ არგუმენტებზე, როგორც წესი, ღიად არასოდეს ლაპარაკობენ

აი ასე, ჩვენს მიერ ჩაფიქრებული გადაცემები ღვთის სიტყვაზე, სამწუხაროდ, ეტყობა, აღარ იქნება და ამაში მაყურებელს ვთხოვ ბრალს ჩვენ, მის ავტორსა და მონაწილეებს, ნუ დაგვდებს.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით ჩვენი ცოდნა, ჩვენი დრო, ჩვენი უნარი უშურველად ჩაგვეყენებინა ღვთისა და ხალხის სამსახურში.

მაგრამ სურვილი, მოგეხსენებათ ერთია და შედეგი ცდისა, მეორე.

შეიძლება ჩვენი გადაცემები ვიღაცისთვის მიუღებელი იყოს სხვადასხვა მიზეზთა გამო, რწმენისა თუ ურწმუნობისა, თეიზმისა და ათეიზმისა, ცოდნისა თუ არცოდნისა და ა. შ.

შეიძლება ჩვენი გემოვნება, ჩვენი ცოდნა, ჩვენი უნარი საუბრისა, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ტელევიზიის მოთხოვნებს. ყოველ შემთხვევაში, ურთიერთთანხმდომა ნამდვილად არ არის და ბოლო სიტყვა აქ მაყურებელმა უნდა თქვას.

სამწუხარო აქ ერთია — ხსენებული გადაცემის შეწყვეტამ მეტად მნიშვნელოვანი საქმე დააზარალა, საზოგადოების სულიერი გაჯანსაღებისა და რელიგიური თუ ლიტერატურული განათლების საშური საქმე.

კობა იმედაშვილი.

საკუთრების დაცვა გარანტირებული უნდა იყოს

თელავის რაიონის გამგეობამ მორიგ სხდომაზე ერთ-ერთ ძირითად საკითხად რაიონის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების დაცვა განიხილა. აღინიშნა, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი სათანადო ინტერესს არ იჩენს ამ საკითხისადმი, იმიზეზებს ფულადი სახსრების უქონლობას, უარს აცხადებს დაცვაზე და წყვეტს ხელშეკრულებას დაცვის პოლიციის განყოფილებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ სხდომაზე, წარმოების ხელმძღვანელებმა ერთხმად გამოუცხადეს უნდობლობა შინაგან საქმეთა არასაუწყებო დაცვის მიერ დანიშნულ დარაჯებს, რადგან, გამოვლინდა ფაქტები, რომ, არც თუ იშვიათად, თვითონ ისინი ძარცვავენ სახელმწიფო ქონებას.

რაიონის გამგეობის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არასაუწყებო დაცვის ხელმძღვანელობამ დააწესოს მკაცრი კონტროლი დარაჯების შერჩევასა და მათ მუშაობაზე. საწარმო-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა კი ერთი თვის ვადაში უნდა იზრუნონ ობიექტების საიმედო დაცვასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაოების განხორციელება.

გურამ სოზაშვილი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
1994-95 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას ფასიან სექტორზე შემდეგ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში დღისა და ინდივიდუალური გეგმით სწავლების ფორმებზე:

სამშენებლო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა — ქართული სექტორი);
საინჟინრო-ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში — ქართული სექტორი).

ენერგეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ენერგეტიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: არატრადიციული ენერგოტექნოლოგიები — ქართული სექტორი).
საინჟინრო-ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსთა დარგებში — ქართული სექტორი).
ელექტრომექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის ტექნოლოგიური მენეჯმენტი — ქართული სექტორი).

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ფარმაციის სპეციალობა — ქართული სექტორი.
ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: სამადუღრო წარმოების ტექნოლოგია, (ლუდის და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია, ლიქიორ-არაყის და სპირტის წარმოება, პურის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია — ქართული სექტორები).

მექანიკა-მანქანათმშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: სამანქანათმშენებლო ნაკეთობათა ექსპერტიზა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში; ბუნებრივი ქვის (საიუველირო და სამშენებლო საპირკეთებელი ქვები) დამუშავების ტექნოლოგია; პურის, მაკარონისა და საკონდიტრო საწარმოთა მოწყობილობები; რძისა და რძის პროდუქტების საწარმოთა მოწყობილობები; საკონსერვო წარმოების მოწყობილობები; მხატვრული ავეჯის კონსტრუირება და მოწყობილობები; ტრიკოტაჟის წარმოების მოწყობილობები; მცირე საწარმოთა მოწყობილობა და ტექნოლოგია; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელი მოწყობილობები ფერმერული მეურნეობებისათვის — ქართული სექტორები).

არქიტექტურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

არქიტექტურის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ურბანისტიკა; შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; არქიტექტურული დიზაინი — ქართული სექტორები).

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: კომპიუტერული სისტემები და ქსელები; ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის კომპიუტერული სისტემები; ვიდეოკომპიუტერული სისტემები; კომპიუტერული საგამომცემლო სისტემები; მენეჯმენტი მცირე მეწარმეობაში — ქართული და რუსული სექტორები).
ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ელექტრონული სამედიცინო აპარატურა; ხარისხის მართვა მარკეტინგის სისტემებში; კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია — ქართული და რუსული სექტორები).

სატრანსპორტო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; ვაგონები — ქართული და რუსული სექტორები).
ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე — ქართული და რუსული სექტორები).
ტრანსპორტის ექსპლოატაციის სპეციალობა (სპეციალიზაცია: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა ტრანსპორტზე (საერთაშორისო გადაზიდვები); ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება (სასამართლო-ტექნიკური ექსპერტიზა — ქართული და რუსული სექტორები).
ელექტრომექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ელექტრული ტრანსპორტი — ქართული და რუსული სექტორები).
მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: რკინიგზის მშენებლობა და სალიანდაგო მეურნეობა; საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებლობა; ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები — ქართული და რუსული სექტორები).
საინჟინრო-ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა — ქართული და რუსული სექტორები).

საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და მართვის ორგანიზაცია საჰაერო ტრანსპორტზე — ქართული სექტორი).
მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: საფრენი აპარატების და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლოატაცია; თვითმფრინავების დაპროექტება და კონსტრუირება — ქართული სექტორები).
რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობების და აეროპორტების კავშირგაბმულობის სისტემების ტექნიკური ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).
ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საჰაერო ხომალდების ელექტრონულ ხელსაწყოთა, საპილოტაჟო-სანავიგაციო მოწყობილობათა და აეროპორტების ელექტროფიცირებული კომპლექსების ტექნიკური ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).
კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საავიაციო კომპიუტერული ტექნიკა და სამოქალაქო ავიაციის ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების მართვის ინტეგრირებული ავტომატიზირებული სისტემები — ქართული სექტორი).

კავშირგაბმულობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საყოფაცხოვრებო რადიოსატელევიზიო და თანამგზავრული მაუწყებლობის ტექნიკა — ქართული სექტორი).
ელექტროკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაციის სისტემები; ტელეკომუნიკაციის მენეჯერი — ქართული სექტორები).

ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ელექტრონული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: საყოფაცხოვრებო ელექტრონული აპარატურა; საავტომობილო ტრანსპორტის ელექტრონული მოწყობილობები; კვების პროდუქტების გადამუშავების საწარმოთა ელექტრონული მოწყობილობები — ქართული და რუსული სექტორები).

ჰუმანიტარულ-ტექნიკური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

იურისპრუდენციის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საერთაშორისო სამეურნეო სამართალი — ქართული სექტორი).
ჟურნალისტიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა — ქართული სექტორი);
მთარგმნელობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: მთარგმნელ-რეფერენტი — ქართული სექტორი).
რეჟისურის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ტექნიკური რეჟისურა და აუდიოვიზუალური წარმოების მენეჯერი — ქართული სექტორი).
ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა — ქართული სექტორი).
საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ტექნიკური ექსპერტიზა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში; ტურიზმის ბიზნესი, საერთაშორისო საბანკო საქმე — ქართული სექტორები).

ფასიან სექტორზე (გარდა არქიტექტურისა და ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტებში) შემსვლელები აბარებენ ტესტურ გამოცდებს მათემატიკაში და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში; არქიტექტურის ინსტიტუტში შემსვლელები: ხატვაში და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტში შემსვლელები: საერთაშორისო სამეურნეო სამართლის; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების; ტექნიკური ექსპერტიზა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში; ტურიზმის ბიზნესის; საერთაშორისო საბანკო საქმის და ტექნიკური რეჟისურის და აუდიოვიზუალური წარმოების მენეჯერის სპეციალობებზე: მათემატიკა, მშობლიური ენა და ლიტერატურა. უცხო ენა. ტექნიკური დარგების ჟურნალისტიკის სპეციალობაზე: მშობლიური ენა (ზეპირი და წერა); უცხო ენა. მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობაზე: უცხო ენა; საქართველოს ისტორია; მშობლიური ენა და ლიტერატურა. სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის სპეციალობაზე: ქიმია, საქართველოს ისტორია, მშობლიური ენა და ლიტერატურა.

განცხადებები (რომლებსაც თან ერთვის შესაბამისი საბუთები) მიიღება
ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა,
შემდეგ მისამართზე: მ. კოსტავას 77, კორპუსი 4, სართული 1.

გამოცდები ჩატარდება 29 - 31 აგვისტოს.

შენიშვნა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დღის სწავლების სტუდენტებს, რომლებიც გადიან სამხედრო სწავლებას სამხედრო კათედრაზე, გადაუვადდებათ საყოველთაო სამხედრო სამსახურში გაწვევა უნივერსიტეტის დამთავრებამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მიმღები კომისია

ფირმა «PrintShop»



თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.

უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს

PS
L.T.D

საშუამავლო-კომერციული ფირმა
„რენესანსი"

დაგეხმარებათ ინტერიერის კომფორტულ მოწყობაში, იმპორტული ავეჯის, რადიო-ტელეაპარატურის და სხვა საჭირო ნივთების შეძენა გაყიდვაში.

ფირმა ეფექტიანი და უსაფრთხო მომსახურების გარანტიას იძლევა.

ჩვენი მისამართია:
სულხან საბას ქ. №4

93-52-63, 99-90-29 (საღამოს).



თბილისელი მხატვრები — ბაგრატის ტაძარს

15 აგვისტოს თბილისში, საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, გაიხსნა უნიკალური ბაგრატის ტაძრის კომპლექსის რეკონსტრუქცია-რესტავრაციისადმი მიძღვნილი ქართველ მხატვართა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა. ამ სამაგალითო აქციის ინიციატორები არიან ბაგრატის ტაძრის აღორძინების ფონდი, საქართველოს მხატვართა კავშირი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

70-მა ქართველმა მხატვარმა, რომელთა შორის არიან ძველი და ახალი თაობის ცნობილი ოსტატები, ბაგრატის ტაძრის აღორძინების ფონდს უსასყიდლოდ გადასცა თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები. ექსპოზიციაშია საქართველოს სახალხო მხატვრების თემო გოცაძის, რადიშ თორდიას, ჯიბსონ ხუნდაძის, მამია ახობაძის, ქეთი მატაბელისა და სხვათა ფერწერული ტილოები, ქანდაკებისა და კერამიკის ნიმუშები.

გამოფენის მონაწილენი დალოცა ბაგრატის ტაძრის აღორძინების ფონდის თავმჯდომარემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

გამოფენა 28 აგვისტოს ქუთაისში გადაინაცვლებს.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ირაკლი მენაღარიშვილი, პარლამენტის კულტურის კომისიის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია, თბილისისა და ქუთაისის მერები ნიკო ლეკიშვილი და თემურ შაშიაშვილი, სხვა ოფიციალური პირები.

ნინო თათრულაძე.

ვალუტა მიაქვს... მტკვარს

დროა ყველამ გაიგოს, რომ ყოველდღიურად მდინარე მტკვარში 800 ათას ბოთლზე მეტი სამკურნალო მინერალური წყალი „ბორჯომი" ილვრება. ბოთლებში რომ ჩაასხან, დღეში 300 მილიონამდე რუსულ რუბლს მოგვიტანდა. მხედველობაში გვაქვს რესპუბლიკის შიგნით სარეალიზაციო ფასები, ხოლო საზღვარგარეთ გატანის შემთხვევაში გაცილებით დიდ თანხას მოგვცემდა.

— მინერალური წყლის საბადოს სადღეღამისო დებიტი საშუალებას იძლევა ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელმა ორივე ქარხანამ ყოველდღიურად 800 ათას ბოთლზე მეტი სამკურნალო წყალი მიაწოდოს მომხმარებელს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მე-2 ჩამომსხმელი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა სტეფანე გაბრიელიძემ. — ბოთლისა და ბუნებრივი გაზის უქონლობის გამო ჩამომსხმელი ქარხნები არ მუშაობენ. მუშახელი იძულებით შვებულებაში გავუშვით.

როდემდე შეიძლება გულგრილად ვუყუროთ მტკვარს გატანებულ ვალუტას?

რობერტ ცუცქირიძე.

თავს დაესხნენ თურქეთიდან მომავალ ავტობუსს

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ახალქალაქი-ნინოწმინდის საავტომობილო გზის მე-8 კილომეტრზე, ნიღბიანი შეიარაღებული ბოროტმოქმედთა ჯგუფი თავს დაესხა თურქეთიდან მომავალ სომხეთის რესპუბლიკის ავტობუსს. ბოროტმოქმედებმა იარაღის მუქარით მგზავრებს წაართვეს 1195000 მანეთი და სხვადასხვა ნივთი.

ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების შედეგად დააკავეს ორი თავდამსხმელი.

მიმდინარეობს ღონისძიება სხვა ბოროტმოქმედთა დადგენისა და დაკავების მიზნით.

გაიქცა მსჯავრდებული

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების პოლკის რუსთავის მე-2 ბატალიონის მეოთხე ასეულის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის არაჯეროვანი შესრულების შედეგად, 16 აგვისტოს დაწესებულება უი 128/23-დან გაიქცა მსჯავრდებული.

სამსახურებრივ შემოწმებას ახდენს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველო.

პარლამენტარის [illegible]

ეს რომ საიუბილეო წერილი იყოს, უფრო ვრცლად მოგახსენებდით, რომ პარლამენტარი ბორის ლომსაძე, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრის გამგე, მონაწილე ბიოლოგიაში აღმოჩენისა, მრავალი გამოგონების, 2 მონოგრაფიისა და 1 სახელმძღვანელოს ავტორი, 220 მეცნიერული შრომის ავტორი და თანაავტორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო საზოგადოებრივი აკადემიის წევრი, ამერიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრი. არის მეცნიერების ორგანიზატორი, მომავალი სპეციალისტებისა და მეცნიერთა აღმზრდელი, საქართველოს, მშობლიური კუთხის მოჭირნახულე, საზოგადოება „სამცხე-ჯავახეთის" პრეზიდენტი. ახალქალაქის საპატიო მოქალაქე.

ამ დღეებში ბატონ ბორის ლომსაძეს 60 წელი შეუსრულდა. ამონაწერი მისი ყოფილი მოსწავლეების, პროფესორების ჯაბა ონიანისა და მურად ცარციძის წერილიდან: „დაუდგრომელი, ენერგიული, არაორდინარული, მართალი სიტყვის მთქმელი მეცნიერებაშიც და პოლიტიკაშიც, მუდამ ახლის მაძიებელი, საშური სასიკეთო საქმეების საკეთებლად მოწოდებული..."

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ბატონ ბორისს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა:

ბორის ლომსაძე:

ქაოსი დაუსჯელობას მოჰყვა

— ბატონო ბორის, ჩვენს დუხჭირ ყოფაში ეკონომიკური რეფორმებისათვის მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნის ღონისძიებათა შესახებ კანონი პარლამენტში ხმის აბსოლუტური უმრავლესობით გავიდა. თქვენი აზრით, რა ძვრებია მოსალოდნელი?

— არ არის გამორიცხული, რომ კანონი „ეკონომიკური რეფორმების შესახებ" უბრალო, ფარატინა ქაღალდად დარჩეს. თუ საქართველოში უცხოური ინვესტიციები არ შემოვიდა, გადარჩენის სხვა გზას ვერ ვხედავ. ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, უკანონო ცხოვრებას მიეჩვია. რასაც ეს გამოიწვევს პერსპექტივაში, ახლაც კარგად ჩანს...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკამ მარშალის გეგმით გადაარჩინა ფედერაციული გერმანია. ისტორიული ფაქტია: ხალხის შრომისა და ამ გეგმის წყალობით აქ მოკლე ხანში აღორძინდა ეკონომიკაც და პოლიტიკაც, რომლებიც ფაქტობრივად განუყრელია ნორმალურ ქვეყანაში. ჩვენ კი ამჟამად ველური კაპიტალიზმის დონეზე ვართ. დანარჩენი თქვენ თვითონ განსაჯეთ. დღესდღეობით ვერ ვხედავ, რომ მარშალის გეგმის მსგავსი ჩვენთან დასანერგად რომელიმე სახელმწიფოს ჰქონდეს.

— გინდათ თქვათ, რომ საქართველო უცხოეთიდან მსგავსი გლობალური დახმარების მიუღებლად წელში ვერ გაიმართება?

— უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ქვეყანაში სტაბილიზაცია. უნდა დავივიწყოთ პირადი ინტერესები, თვითგანდიდების შინაგანი მოთხოვნილება, ამბიციები, მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ საქართველო მრავალპარტიულ პირობებში ერთიანდება და არ იხლიჩება. უნდა მოვეშვათ დაუშვებელი ხერხებით პოლიტიკური ქულების დაგროვებას, გვეყო ამომრჩევლის აბუჩად აგდება. უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კორუფციას, რომელმაც დაღრღნა საქართველო.

ეკონომიკური რეფორმა მოითხოვს კადრების აბსოლუტურ განახლებას. ჩვენ კი, როგორც წესი, ერთი და იგივე პიროვნებების ირგვლივ ვტრიალებთ. რამდენჯერმე გაგდებული, გნებავთ ციხეში არაერთხელ ნამყოფი კაცი თუ მაფიასთან შეხმატკბილებულია, ნებისმიერ თანამდებობაზე აცხადებს პრეტენზიას. მოკრძალებულობა დღეს ნაკლად ითვლება. რამდენიმე პარლამენტარია ისეთი, გამგებელს რომ ვერ იტანს და ცდილობს მისი სკამი მიისაკუთროს. უნდა აღინიშნოს, რომ გახშირდა იმის მაგალითები, როცა პარლამენტარი ორ სკამზე ზის, თუმცა კანონი ამას კრძალავს.

დაუშვებელია, როდესაც პარლამენტარები აგროვებენ ხელმოწერებს ამა თუ იმ პარლამენტარის გამგებლად დანიშვნასთან დაკავშირებით, რითაც აიძულებენ სახელმწიფოს მეთაურს დაარღვიოს კანონი. ამის წინააღმდეგ ჩემს გამოსვლას პარლამენტში შედეგი არ მოჰყოლია. ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად, იქნებ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ მაინც გამოსწორდეს მდგომარეობა.

კადრების შერჩევა ჩვენთან სუბიექტურად ხდება. არ არსებობს კადრების შერჩევის კრიტერიუმები. შეიკრიბება რამდენიმე კაცი, შემოივლიან ინსტანციებს და თავისიანს ხელმძღვანელ პოსტზე დასვამენ. ეს არის მაფიური სტილი. თუ გვინდა, რომ შევამციროთ კორუფციისა და მაფიოზური სტრუქტურების როლი კადრების შერჩევის დროს, რაიონებში თანამდებობებზე პირად (გამგებელი, პოლიციის უფროსი თუ პროკურორი და სხვ.) დაინიშნონ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი რეგიონული საქველმოქმედო საზოგადოების („კახეთი", „ქართლი", „სამცხე-ჯავახეთი" და სხვ.) რეკომენდაცია.

შარშან პარლამენტში შევიტანე წინადადება კორუფციის საწინააღმდეგო მექანიზმის შექმნის შესახებ, რაც სამწუხაროდ ჰაერში ჩამოეკიდა...

— პარლამენტში არსებობს უმრავლესობა და უმცირესობა. თქვენ უმრავლესობის წარმომადგენელი ბრძანდებით. რომელი უფრო ერთსულოვანია?

— ჩვენს პარლამენტში ეს არაბუნებრივი დაყოფაა. დემოკრატიულ ქვეყნებში უმრავლესობა და უმცირესობა არჩევნების შედეგად იქმნება, რომლებიც შესაბამისად სოციალური ფენების ინტერესებს გამოხატავენ; რაც შეეხება ერთსულოვნებას, ჩვენთან არც ერთშია და არც მეორეში. ერთსულოვნება განსაკუთრებით მჟღავნდება თანამდებობების დაკავების დროს, ესე იგი პრივილეგიების მოპოვებისას.

— კარგად ჩანს, რომ პარლამენტში მხოლოდ განსხვავებული აზრისათვის კი არ კამათობენ, ან უხეშობენ, არამედ ზოგიერთს სძულს კიდეც ერთმანეთი.

— განსხვავებული აზრი იშვიათად თუ ვლინდება. შეიძლება მოვიტანოთ „ესენგეში" შესვლის მაგალითი. თავის დროზე ნორმალურად რომ წარმართულიყო საქმე, პარლამენტზე დასმულიყო ეს საკითხი, ამდენი ვაივაგლახი აღარ გადაგვხდებოდა. „ესენგეში" შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმი რომ ჩატარებულიყო, ხალხის უმრავლესობა უეჭველად ხმას მისცემდა და აღარც ამდენ მსხვერპლს გავიღებდით და აფხაზეთიც არ დაიკარგებოდა.

რაც შეეხება უხეშობას, ხშირად ზოგიერთი მართლაც თავს ვერ იკავებს, ზოგიერთს სძულს კიდეც ერთმანეთი. ვფიქრობ, ეს იმით არის გამოწვეული, რომ წლების განმავლობაში უხეშობას შევეჩვიეთ და კიდევ იმიტომ, რომ დეპუტატების მიმართ არ ხორციელდება კანონები. აღვირახსნილობა იმის ბრალიც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში უპასუხისმგებლობა და ქაოსი სუფევს. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ანარეკლია პარლამენტიც.

— აფხაზეთის დაბრუნების, სამართლიანობის აღდგენის უპირველეს პირობად რას მიიჩნევთ?

— იმას, რომ რუსეთმა პირნათლად შეასრულოს ხელშეკრულება და დაბრუნდნენ დევნილები.

— ვინ უფრო სჭირდება ამჟამად ქვეყანას — მეცნიერი, აღმზრდელი, თუ პარლამენტარი ბორის ლომსაძე?

— თქვენ ხაზი გაუსვით და მეც ვიმეორებ: დღევანდელ ვითარებაში უწინარესად პარლამენტარობა მიმაჩნია, ვინაიდან პარტიებს ან პიროვნებებს კი არა, ვემსახურები ჩემს ხალხს და სამშობლოს, ახლა ასე რომ უჭირთ. ვერ ვიტან ტყუილს, პოლიტიკანობას, დემაგოგიას და ფრაზეოლოგიას. მთელი ცხოვრება სიმართლისათვის ვიბრძვი.

— ახლა პარლამენტს არდადეგები აქვს. თქვენ რას აპირებთ?

— თუ დასვენება გაქვთ მხედველობაში, არაფერს.

— ?!

— გაგიკვირდათ? არდადეგებს ფული სჭირდება.

— თქვენი პასუხიდან ჩანს, რომ პარლამენტარი იმდენადაც არ არის უზრუნველყოფილი, რომ არდადეგების დროს დასვენება მოახერხოს?

— დასამალი არ არის, რომ დღეს მეცნიერი მშიერია. იგივე ითქმის ზოგიერთ პარლამენტარზეც.

— ქვეყანაში შექმნილია უმძიმესი ზნეობრივი, პოლიტიკური და კრიმინოგენური ვითარება. როგორ გესახებათ ამ კრიზისის დაძლევის გზები?

— უკვე მრავალი წელიწადია ასეთი მდგომარეობაა საქართველოში. ახლა უფრო ნათლად ვხედავ, თუ რას ნიშნავს ზნეობის უგულებელყოფა, კარგად გვახსოვს თანამდებობებით რომ ვაჭრობდნენ, თითქმის ათასი მეცნიერების დამსახურებული მუშაკი რომ გვყავდა, პარტიაში შესასვლელი ანკეტები, სტუდბილეთები, დიპლომები რომ იყიდებოდა. ყველაფერმა ამან დღეს იჩინა თავი. მაშინ დასჯის შიშით, ნაკლები დანაშაული ხდებოდა. დღეს კი დაუსჯელობას ქაოსი მოჰყვა. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენთან 240-მდე კომერციული უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა.

ჩვენ ვლაპარაკობთ დემოკრატიაზე, მაგრამ დემოკრატიული ინსტიტუტები არ შემოგვაქვს ცხოვრებაში. ელიტა ელიტად რჩება, ხალხი კი კატასტროფულად ღატაკდება, რამდენი სახელმწიფონომრიანი მანქანა დადის ქალაქში — რაც იმათ ბენზინი სჭირდებათ, ხვნა-თესვას რომ მოხმარებოდა, დაუთესავი ფართობები ალბათ აღარ დაგვრჩებოდა! თუნდაც ხელოვნურად გაბერილი სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი, საქართველო ლამის მრჩეველთა და გენერალთა რესპუბლიკად იქცა. ორი მთავრობის არსებობამ დრო მოჭამა.

დემოკრატია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო გადასახადის სახით აღებული ფული, ხალხისვე საკეთილდღეოდ იხარჯებოდეს. დემოკრატია კანონის უზენაესობას ნიშნავს, რაც ჩვენთვის ასე სანატრელია.

ესაუბრა
ბელა დურგლიშვილი.

სოფლებში ფეხბურთსაც თამაშობენ

ეს რამდენიმე წელიწადია თერჯოლის რაიონში თითქმის დავიწყებას მიეცა შიდასარაიონო სპარტაკიადები, შეჯიბრებები, კონკურსები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამიტომ მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია სულ ახლახან გამართულმა რაიონის პირველობამ ფეხბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა თოთხმეტი სოფლის ნაკრები გუნდი, ყოველ შეხვედრას უამრავი ხალხი ესწრებოდა...

რაიონის ჩემპიონი გახდა თერჯოლის გუნდი, მეორე ადგილი დაისაკუთრეს სოფელ ეწერის ფეხბურთელებმა.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები.

შეჯიბრების ორგანიზატორი იყო რაიონის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

ჰენრი შარიქაძე.

რიცა

ლტოლვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

გოგონათა და ჭაბუკ მოჭადრაკეთა ევროპის პირველობის დასრულების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა ასაკის გოგონებმა და ჭაბუკებმა ურიგოდ როდი ითამაშეს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც აგვისტოს პირველ დეკადაში უნგრეთის ქალაქმა სეგედმა უმასპინძლა.

54 გოგონა (შვეიცარიული სისტემით) მონაწილეობდა 10 წლის ასაკამდე მოჭადრაკეთა ტურნირში. გორელმა ნათია ფხაკაძემ 6,5 ქულა დააგროვა და IV ადგილი დაიკავა. 60 ქალიშვილი გამოდიოდა 12 წლის ასაკამდე მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში. საქართველოს ღირსებას თელაველი მსოფლიოს ჩემპიონი ანა მათნაძე იცავდა. მან მხოლოდ 6,5 ქულის მოგროვება შეძლო და V ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ სოხუმელმა ლტოლვილმა რუსუდან გოლეთიანმა 7,5 ქულა დააგროვა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თანატოლების მსგავსად, დიდი წარმატებით ითამაშა 16 წლის ნათია აფხაიძემ (ქუთაისი), რომელმაც 7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყო, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილის უკეთესი მაჩვენებლების გამო მას მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი გადაეცა. ურიგოდ არ ითამაშა 18 წლიანთა მსოფლიოს ჩემპიონატში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, ოსტატმა მაია ლომინეიშვილმა, რომელმაც 7 ქულით ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ამავე ასაკის ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირზე II-III ადგილები გაიყო თბილისელმა გიორგი ყაჭეიშვილმა,

ერთად უნდა ვებრძოლოთ!

სიკვდილის მთესველს — სიკვდილი...

მოვითხოვთ: ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორი სიკვდილით დაისაჯოს — ასეთია საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, აგრეთვე მეცნიერების, კულტურისა და მწერლობის წარმომადგენელთა ერთი ნაწილის აზრი.

წინა კვირას, პარასკევს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ოფისში დედაქალაქის რჩეულმა საზოგადოებრიობამ მოიყარა თავი. ცნობილი მწერლები, პროფესორები... თავყრილობის ინიციატორს, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ბიუროს, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა მისცა მხარი.

დღის უმთავრეს თემად ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციისა და მოხმარებისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების გამკაცრების აუცილებლობა დაასახელეს. თავიდანვე გაისმა სიტყვები **„სიკვდილით დასჯა"**...

პირველად, საქართველოს საკანონმდებლო ისტორიაში, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგლამენტირებელი, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ნორმები შემოიტანეს. კერძოდ, ეს არის სასჯელი ნარკოტიკული ნივთიერებების გამოძალვისა და უკანონო ნათესებისათვის. ამიერიდან, გინდ „კანაფი" მოიყვანე, გინდ „ყაყაჩო", კანონმდებლობით განსაზღვრულია სასჯელის ნორმა „ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველ მცენარეთა მოყვანისათვის" (ადრე ეს მუხლი დიფერენცირებული იყო). სიახლეა პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზებისა და დაფინანსებისათვის. მართლმსაჯულებას ვერ გაექცევა ის მიწის მფლობელიც, რომლის ტერიტორია ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების მოსაყვანად გამოიყენეს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი **მამია დარჩია** სიტყვას ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ **ჯემალ ჯანაშიას** აძლევს.

ბატონი ჯემალი, სამსახურებრივი მივლინებით, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებოდა. ამჯერად, 40 დღის განმავლობაში კაიროს პოლიციის აკადემიის სტუმარი იყო.

ის ახლოს გაეცნო ეგვიპტელთა გამოცდილებას, მათ ბრძოლას ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიო ბრძოლის ნაწილია. — დღეს დედამიწაზე ვერ ნახავთ ქვეყანას, ეს პრობლემა არ აწუხებდეს, — თქვა მან. — კატასტროფის საშიშროება საქართველოში უკვე იგრძნობა. მით უმეტეს, ცნობილია, რომ საერთაშორისო ნარკომაფია დღეს აქტიურად იყენებს იმ ქვეყნებს, რომელიც არ იცავს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, ჩაძირულია ეთნოკონფლიქტებსა და სამოქალაქო ომებში, ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის ნაწილს, მეზობლებთან სუსტად დაცული საზღვარი და არასაიმედო საბაჟო სისტემა აქვს.

საქართველოში ყველა ეს ნიშანი მკვეთრად არის გამოხატული. ნარკომანიამ და ნარკობიზნესმა საზოგადოების თითქმის ყველა ფენა მოიცვა. წლეულს, შვიდ თვეში, 660 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, დამნაშავეებს 150 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერებები ჩამოართვეს, რაც სარეკორდოა შინაგან საქმეთა ორგანოების ისტორიაში.

მსოფლიოში დღითიდღე იზრდება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის მასშტაბი. 1993 წელს ნარკომაფიამ **600 მილიარდი** დოლარის შემოსავალი მიიღო.

დღეს, ეს საქმიანობა ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაზე გაცილებით სარფიანია და სულ ცოტათი ჩამოუვარდება იარაღის ბიზნესს.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს მომავალში ნარკომანია და ნარკობიზნესი თავისი განვითარების პიკს „სნგ"-ს ქვეყნებში მიაღწევს. თვალად განსაჯეთ, ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარი, საერთოდ უკონტროლოა. აქ ერთ კილოგრამ ექსტრა-კლასის „ოპიუმს" ერთ ტომარა ფქვილზე ცვლიან. ყაზახეთს, წელიწადში, **10 ათასი ტონა** მზა პროდუქციის წარმოება შეუძლია. მეტ-ნაკლებად, ასეთივე მოსავალი ექნებათ შუა აზიის რესპუბლიკებსაც.

ბალკანეთის ცნობილმა ტრანსკონტინენტურმა ნარკოტრასამ ამ რეგიონის ქვეყნებში ატეხილი ომების გამო, სანახევროდ დაკარგა ფუნქცია. საერთაშორისო ნარკომაფია დღითიდღე იმედის თვალით შეჰყურებს ამიერკავკასიას და, კერძოდ, საქართველოს. ჩვენი მონაცემებით, საქართველოში ამჟამად **ასი ათასობით ნარკომანია,** — აღნიშნა ჯემალ ჯანაშიამ. — ყოველდღიურად მატულობს მეზობელი და შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულ ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორთა რიცხვი. სულ ახლახან, ბათუმში, ნიგერიელი „კურიერი" დავაკავეთ... დმანისში, ქარელში, თიანეთში, ბორჯომში, სამეგრელოს მთიანეთსა და სვანეთში პროგრესულად იზრდება ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველ მცენარეთა ნათესების ფართობი...

მანვე დამსწრეთ მოუთხრო იმ მკაცრი სანქციების შესახებ, რომელიც არსებობს სხვადასხვა ქვეყნებში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისა და რეალიზაციისათვის.

საქართველომაც უნდა გაამკაცროს თავისი კანონები! — გვეყო „პროვინციული ჰუმანიზმით" თავის მოწონება, — „ტერორი" ქართულად „შიშს" ნიშნავს, მხოლოდ შიშით შეიძლება ამ ურჩხულის დამარცხება, — თქვა მწერალმა **ლევან ხანიკიძემ.**

საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პოლიციის გენერალმა **ჯემალ გახოკიძემ** დამსწრეთ გააცნო სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომელთა გამკაცრება დღევანდელ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელ ღონისძიებად მიაჩნია.

მოქმედი კანონმდებლობით, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გასაღება... ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 თვიდან 10 წლამდე, თუ ნარკოტიკული ნივთიერებების დიდი რაოდენობაა — 6-დან 15 წლამდე.

კარგად ხედავთ, რა დიდი ინტერვალია!

ეს კი საგამოძიებო, სასამართლო და სხვა ორგანოთა არაკეთილსინდისიერ თანამშრომლებს „ფულის კეთების" საუცხოო პირობებს უქმნიდა. ახლა, უპრიანია ფარღალალა „ფანჯარა" რამდენადმე დაიგმანოს, ინტერვალი შეივსოს.

მოქმედი კანონმდებლობა სიკვდილით დასჯას, საერთოდ, არ ითვალისწინებს...

ეს მაინც პროექტია, ამიტომ არ გადაგღლით ყველა მოსალოდნელ ცვლილება-დამატებაზე საუბრით. მხოლოდ იმ საკითხს მოგახსენებთ, რომლის განსახილველად და აზრის გამოსათქმელად მოიწვიეს ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საგამოძიებო დეპარტამენტისა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს მესვეურთ მიაჩნიათ, რომ თუ პიროვნება დიდი რაოდენობით გაასაღებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან ამას გააკეთებს განმეორებით, უნდა დაისაჯოს 12-დან 15 წლამდე პატიმრობით (ქონების კონფისკაციით) ან სიკვდილით. სასჯელის იგივე ზომა უნდა განესაზღვროთ დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების გამსაღებელ თანამდებობის პირებს, ვინც თანამდებობრივი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა და საზოგადოებას დიდი ზიანი მიაყენა. სიკვდილით უნდა დაისაჯოს აგრეთვე ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდის გზით შემომტანიც...

„რა მნიშვნელობა აქვს, ნარკოტიკული ნივთიერება ერთი კილოგრამია თუ ორი გრამი?! ყველა რეალიზატორი სიკვდილით უნდა დაისაჯოს", — მოითხოვდა დარბაზი.

აქ, რასაკვირველია, ემოცია სჭარბობდა, კანონი კი ცივი გონებით უნდა იწერებოდეს...

თუმცა დღეს ვერ გაამტყუნებ ქართველს.

აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი: — ეს ერის გენოფონდის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, ამიტომ ისე უნდა ისჯებოდეს, როგორც სამშობლოს ღალატი ან დივერსია (თუ სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ არის ჩადენილი) ისჯება.

მკითხველისათვის უთუოდ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კანონპროექტი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისათვისაც ითვალისწინებს მკაცრ სანქციებს:

ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა გასაღების მიზნის გარეშე — 3 წლამდე...

შეძენა დიდი რაოდენობით, აგრეთვე გასაღების მიზნის გარეშე — 5-დან 7 წლამდე...

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა იური ტყეშელიაძემ ნარკომანიისათვის საზოგადოების პასუხისმგებლობის განაწილების პრობლემაზე ისაუბრა.

ნარკომანი ავადმყოფია, როგორ მოვექცეთ მას?

ციხეში შეიცვლის ის ცხოვრების წესს?

მზად არის ჩვენი ფსიქიატრია ნარკომანების სამკურნალოდ?

ზოგჯერ კანონმდებელი თვითონვე ხომ არ უქმნის დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის საფუძველს?

ამიტომ, ამ შემთხვევაში, კომპეტენტური სპეციალისტის აზრის გაზიარებაც არ იქნებოდა ურიგო.

„წლეულს, ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის ფაქტზე 116 საქმეა აღძრული, ყველა რეალიზატორი რომ დავხვრიტოთ, რა გამოვა, აიტანს ამას საქართველოსთანა პატარა ქვეყანა?! — იკითხა ჯემალ ჯანაშიამ.

ნაპოლეონ კარქაშაძე, აგრარული უნივერსიტეტის რექტორი: — წარსულისაგან განსხვავებით, დღეს, უმაღლეს სასწავლებლებში ნარკომანიასთან ბრძოლის არავითარი მექანიზმი არ არსებობს. აუდიტორიებში, ტუალეტებში... ვპოულობთ შპრიცებს. ქალიშვილებიც მასობრივად იკეთებენ წამალს.

დარბაზმა ეჭვი გამოთქვა, რომ „ჩვენი ლიბერალები პარლამენტში" არ მიიღებენ კანონპროექტს... „პარლამენტი უნდა იზიარებდეს ჩვენს აზრს. კმარა ჰუმანიზმით სპეკულანტობა! მე ცხოვრებაში ქათამი არ დამიკლავს, მაგრამ მხარს ვუჭერ ნარკოტიკების (ალბათ, დიდი რაოდენობით. — **ზ. მ.**) რეალიზატორთა სიკვდილით დასჯას", — თქვა **მსახიობმა ბაადურ წულაძემ.**

— დღეს გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, — ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **რომან გვენცაძე,** — 14-15 წლის ბიჭები და გოგონები სხვათა დასანახად იჩხირავენ ვენაში ცარიელ ნემსს — მორფინისტობა საამაყო საქმედ მიაჩნიათ. იციან, რამდენი მორფინისტი გაძვრა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში... საქართველოს მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ნარკოტიკებზე გაიცვალა. მე ლოიალური კაცი ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნარკოტიკების რეალიზატორი **(გინდ, ერთ კილოგრამს ასაღებდეს, გინდ ერთ გრამს)** უნდა დაიხვრიტოს.

ჟურნალისტის საქმე ფაქტი დააფიქსიროს: ქართული მეცნიერების, კულტურისა და მწერლობის წარმომადგენლები ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორების სიკვდილით დასჯას მოითხოვენ!...

მეცნიერი მუშაკი დოდო ყარაულაშვილი: — ამას წინათ, სოციოლოგიური გამოკითხვა ჩავატარეთ: ათასი კაციდან მხოლოდ ორმა დაასახელა ნარკომანია და ნარკობიზნესი ქვეყნის ყველაზე დიდ პრობლემად.

იქნებ, ვინმემ მოიცალოს და გამოეხმაუროს საქართველოსთვის გულმტკივნეულ ადამიანებს! მხოლოდ სალი აზრი და არა ემოცია გადაარჩენს ერს!

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

ნიკოლოზ მანჯგალაძე

გარდაიცვალა გადამდგარი პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, სამამულო ომის მონაწილე ნიკოლოზ სპირიდონის ძე მანჯგალაძე.

იგი დაიბადა 1909 წელს, ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში. პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე, სადაც თავი გამოიჩინა როგორც პატიოსანმა და თავის მოვალეობის პირნათლად შემსრულებელმა, დისციპლინირებულმა და ენერგიულმა მუშაკმა. მის ცოდნაზე და გამოცდილებაზე აღიზარდა ბევრი თანამშრომელი. იყო შესანიშნავი მეოჯახე.

ნიკოლოზ მანჯგალაძე შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის სამინისტროსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მრავალჯერ იყო დაჯილდოებული მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ჩვენგან წავიდა კეთილი, პატიოსანი ადამიანი, რომლის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შოთა ლეჟავა



არსებობს თურმე ისეთი შემთხვევა, როდესაც გულის სიღრმიდან ამოსული, ფიზიკურ ტკივილამდე განცდილი გრძნობის სიტყვიერად გადმოცემა შეუძლებელი ხდება.

დღევანდელ ყოფაში, ალბათ, ღვთის წყალობაა შეხვდე ადამიანს, რომელიც თავისი ფიზიკური თუ სულიერი სილამაზით, კეთილშობილებით, ვაჟკაცობით, მის გვერდით მყოფი ნაცნობისა და უცნობისათვის, სიკეთის, მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარულის მაგალითს გიჩვენებს.

სწორედ ასეთი პიროვნება იყო შოთა ლეჟავა. უმძიმესია ის დანაკარგი, რაც საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტულმა პარტიამ განიცადა მისი გარდაცვალების გამო.

თუ არ გიყვარს ადამიანი, შეუძლებელია გიყვარდეს სამშობლო და მისი ტკივილები გტკიოდეს.

შოთა ლეჟავას კი უყვარდა და სტკიოდა, მისთვის არ არსებობდა სხვისი პრობლემა, იგი უმალ ითავისებდა თითოეული ჩვენგანის გასაჭირს. თავისი შინაგანი, ძვალსა და რბილში გამჯდარი ინტელიგენტურობის, თავმდაბლობის და ბუნებრივი უშუალობის გამო თავად უპრობლემო ადამიანად მოგეჩვენებოდათ.

ყველას, ვისაც კი ურთიერთობა ჰქონდა მასთან და განსაკუთრებით ჩვენ, აღუწერელი, უთქმელი, უსასრულო ტკივილით დავრჩით.

საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია.

ომარ ჯახია

ჩვენო ომარ, მშობლების გამორჩეულო შვილო, ძვირფასო მამავ, ერთგულო მეუღლევ. 15 აგვისტოს შენი დაბადების დღე იყო. 44 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ჩვენთვის საბედისწერო ომმა შეგიწირა. შენზე მონატრებული, გამწარებული დედ-მამა, ობლად დარჩენილი შვილები და მეუღლე დღესაც შენს მოლოდინში ვართ.

ომარ, საკუთარ, დანგრეულ კერას მოშორებული ვცდილობთ შეგისრულოთ ოცნება — შვილები ფეხზე დაგიყენოთ. ნონა უკვე მეორე კურსის სტუდენტია, ზაზა უნივერსიტეტში გამოცდებს აბარებს, ნანა კარგად სწავლობს. ნუ იდარდებ აფხაზეთში ტყვედ მყოფ ვაჟზე, გამოვიხსნით. გაგიზრდით ყველას შენი სახელის გამგრძელებლად და სასახელოდ.

ჩვენთვის უსიხარულოდ მიდის დღეები. გვაკლიხარ, განსაკუთრებით, შენს შვილებს. გულს ისღა გვიმაგრებს, რომ ღირსეულად მოიხადე ვალი საყვარელი სამშობლოს წინაშე, რომ შენს ოჯახს მემკვიდრეობად სახელი, დიდება და ვაჟკაცობა დაუტოვე.

გჯეროდეს, სანამ ცოცხლები ვიქნებით შენს ხსოვნას გულში სიამაყით ვატარებთ.

დედ-მამა, შვილები, მეუღლე.

თბილისის დავით აღმაშენებლის
სახელობის კერძო უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო
წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი
1. ტელე-რადიო ჟურნალისტი
უცხო ენების ფაკულტეტი
1. სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნა და საინჟინრო ექსპერტიზა(ინგლისური, გერმანული)
ეკონომიკის ფაკულტეტი
1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა
სამედიცინო აპარატურის ფაკულტეტი
1. ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურის სისტემები
იურიდიული ფაკულტეტი
1. სამართალმცოდნეობა
კავშირგაბმულობის ფაკულტეტი
1. კოსმოსური კავშირგაბმულობა
2. ელექტრონული ფოსტა
3. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა
4. სპეცდანიშნულების კავშირგაბმულობის სისტემები
5. სატრანსპორტო კავშირგაბმულობა.

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების საფუძველზე სწავლა ფასიანია. საბუთების მიღება იწარმოება 10 საათიდან 16 საათამდე, ყოველდღე გარდა შაბათისა და კვირისა.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი ბევრეთის ქ. №8
ტელ.: 98-78-78, 93-22-88 მეტრო 300 არაგველი
კრწანისის მოედანი (ბაგრატიონის ძეგლი).

თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:
1. ჟურნალისტიკის — სპეციალობა ფართო პროფილის ჟურნალისტი;
2. ეკონომიკის — სპეციალობა ეკონომისტ-ჟურნალისტი.
თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.
ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); სამედიცინო ცნობა (ფორმა 086); 4 ფოტოსურათი (3X4). პასპორტსა და სამხედრო ბილეთს აბიტურიენტები წარადგენენ პირადად.
ინსტიტუტში სწავლა მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროგრამით და სპეციალობაში სასწავლო პროცესსაც ამავე ფაკულტეტის პროფესორები უძღვებიან.
სტუდენტები გაზეთ „სოფლის ცხოვრებასა" და რესპუბლიკის სხვა ჟურნალ-გაზეთებში მომუშავე გამოცდილი ჟურნალისტების ხელმძღვანელობით, ინსტიტუტში სწავლის პერიოდშივე დაეუფლებიან წერილებზე და საერთოდ რედაქციაში მუშაობის ჩვევებს.
ინსტიტუტმა დააფუძნა და გამოსცა გაზეთი „სიყვარული", სადაც ძირითადად სტუდენტები თანამშრომლობენ. მათ თავიანთი საინტერესო წერილებით უკვე მიიქციეს მკითხველთა ყურადღება. ცხადია, მომავალ სტუდენტებსაც სწავლის პროცესში ასევე შეეძლებათ ითანამშრომლონ, რომელთაგან საუკეთესონი ჩაირიცხებიან შტატში.
მაშ ასე, თუკი ჩვენი ინსტიტუტის პირობები ხელს გაძლევთ, ნუღარ დაკარგავთ დროს — 10 სექტემბრამდე მოაკითხეთ თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტს (რობაქიძის 7-ა). საბუთები მიიღება კოსტავას ქ. № 14, მე-5 სართული, 10 საათიდან 16 საათამდე.
ჩვენი ტელეფონებია: 93-23-18, 99-76-03; შიდა: 4-13, 4-76, 4-75.
თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი
ინდექსი 66434